# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 აგვისტო 2007 №175 (3098) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!



64

# რა უჭირს ბელხატუვს?

## პოლონელები პრობლემებით ჩამოვიდნენ



ორესტ ლენჩიკი

**ხვალ** უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩია: „ამერი“ — „ბელხატუვი“.

ორი კვირის წინანდელი ამბავი კარგად გეხსომებათ, მასპინძლებმა თბილისელების კარში სულ სამჯერ დაარტყეს და მეტოქე ორი უპასუხო გოლით დაამარცხეს. ჰოდა, ჩვენებსაც ძალიან ძნელი საქმე ელით — „ყვითლებმა“ „მიხეილ მესხზე“ ორბურთიანი ჩამორჩენა უნდა გააბათილონ.

ბელხატუვური მატჩის შემდეგ „ბელხატუვმაც“ და „ამერმაც“ ორ-ორჯერ ითამაშეს. პოლონელების ორივე მატჩი ოფიციალური იყო — ქვეყნის სუპერთასზე ორესტ ლენჩიკის შეგირდებმა ჩემპიონ „ზაგლებესთან“ 0:1 წააგეს, ხოლო პოლონეთის ჩემპიონატის პირველ ტურში შინ „კორონა“ 2:0 დაამარცხეს. ამასობაში თბილისელებმა ახალციხის „მესხეთთან“ ამხანაგური 1:1 ითამაშეს, ზაქათალის „სიმურგს“ კი 2:1 მოუგეს.

„ბელხატუვი“ თბილისში ლოძიდან ჩარტერული რეისით ამ დილით ჩამოფრინდა და სასტუმრო „თორნიში“ დაბინავდებოდა. სტუმართა დელეგაცია არცთუ მრავალრიცხოვანია და ერთ ქართულ ოჯახთან ერთად, სულ 40-მდე წევრს ითვლის. ეს ქართველები კი „ბელხატუვმა“ „ამერს“ თავისთან დაახვედრა და ახლა თბილისშიც წამოიყვანა.

თბილისში იქნება ხუთი პოლონელი ჟურნალისტიც, მწვრთნელი ორესტ ლენჩიკი კი პრესკონფერენციას, ალბათ, დღესვე გამართავს. თუმცა თბილისში წამოსვლამდე ლენჩიკი ჟურნალისტებს ბელხატუვშიც გაესაუბრა და „ამერთან“ საპასუხო მატჩამდე ეს თქვა:

— თბილისურ შეხვედრას საბრძოლო განწყობით ვხვდებით. მართალია, ბელხატუვში კარგი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ, საპასუხო მატჩამდე თავს გამარჯვებულად არასდროს ვთვლი. მით უმეტეს, რომ თბილისში შეხვედრამდე რაღაც პრობლემები გვაქვს...

ჩვენი პოლონელი კოლეგა დარიუშ კუროვსკი ამბობს, რომ თავად ლენჩიკისა და კლუბის რამდენიმე წარმომადგენლის გარდა, რა პრობლემებია, არავინ იცის. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ლენჩიკი ისევ ფეხბურთელთა გაუთავებელი ტრავმების გამო წუხს, მაგრამ, შესაძლოა, მწვრთნელი პრობლემებში სხვა ამბებსაც გულისხმობდა...

დარიუშ კუროვსკიმ „ბელხატუვის“ მწვრთნელის გარდა, „ამერი“ — „ბელხატუვის“ მატჩზე ფეხბურთელთა კომენტარებიც მოგვაწოდა. ბელხატუველთა ლიდერ ლუკაშ გარგულას, ვისაც პირველ მატჩში არ უთამაშია და არც თბილისში უნდა ველოდოთ, უთქვამს: „მართალია, პირველ შეხვედრაში თვალსაჩინო უპირატესობა გვქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თბილისში სულ სხვანაირად იქნება. მეტოქე შინ სხვა ფეხბურთს ითამაშებს. თუმცა ჩვენი ორბურთიანი უპირატესობა ყველა შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ. ბელხატუვის მატჩისას ჩვენ შეტევის დამამთავრებელ ფაზაში გვიჭირდა, რაც, ვფიქრობ, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნით იყო გამოწვეული“.

თავდამსხმელი პატრიკ რახვალი კი ამბობს: „ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი გზა გავიარეთ და მთავარი ამბები კიდევ წინაა. პირველი მატჩის მოგების მიუხედავად, თბილისში ურთულესი მატჩი გველის. ძალიან მსურს, „ბელხატუვის“ ევროდებიუტი ჩვენთვის წარმატებული იყოს“.

...თბილისის „ამერი“ კი „ბელხატუვთან“ მატჩისწინა შეკრებაზე გუშინ გადავიდა. ჩვენებს ხვალ ტრავმირებული თავდამსხმელები — რატი წინამძღვრიშვილი და ბესიკ ჩიმაკაძე ვერ დაეხმარებიან. მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე პოლონელთა დასამარცხებლად 22 ფეხბურთელს ამზადებს და მათ შორისაა არჩილ ალავიძეც, ვისაც პირველ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია.

გიორგი ჩიხრაძე დღეს „მცხეთა პალასში“ პრესკონფერენციას გამართავს და მომავალ მატჩზე მისგან უფრო მეტს შევიტყობთ.

**კობა ინასარიძე**




დღეიდან გულშემატკივრებს საშუალება აქვთ, შეიძინონ „ამერი“ — „ბელხატუვის“ უეფას თასის პირველი შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩის ბილეთები და პროგრამა.

ბილეთების ფასია 2, 5, 10 და 20 ლარი, ხოლო მატჩის პროგრამა 1 ლარი ღირს. ბილეთები და პროგრამა იყიდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში.

# დინამო გაგრილდა

## ანგარიში კარგია, თამაში მძიმე იქნება

**თბილისის** „დინამო“ გუშინ ნაშუადღევს ლიხტენშტაინის მთავარ ქალაქ ვადუცს იმ 18 ფეხბურთელით ესტუმრა, რომლებიც ჩვენების მწვრთნელ დუშან უჰრინს „ვადუცთან“ 2:0 მოგებული პირველი მატჩის განაცხადში ჰყავდა. ამ ფეხბურთელებს შორის არიან განაპირა მცველები, ჩეხი რომან დობეშიც და შოთა კაშიაც, მათ რამდენიმე დღით უქმობა კი მოუხდათ, თუმცა ახლა არაფერი აწუხებთ და გუშინვე, ვადუცის ახლომდებარე დაბა შაანის სტადიონზე სხვებთან ერთად მთელი დატვირთვით ივარჯიშეს.

„დინამო“ ვადუცს სტამბოლისა და ციურიხის გავლით ესტუმრა და „რაინპარკშტადიონის“ ახლოს სასტუმრო „რეზიდენტში“ მოეწყო. თუმცა რაღა სტადიონთან ახლოს, როცა ვადუცის თუ მთელი ლიხტენშტაინის თავი და ბოლო სულ ერთ ნაბიჯზეა...

თბილისურ ხვატს მოშორებულ დინამოელებს ვადუცში 20-22 გრადუსი დახვდათ, გუნდში კარგი განწყობაა და, შესაბამისად, „ვადუცის“ ბარიერის დაძლევის დიდი იმედიც. თბილისელებს მეტოქე ცხადია, უკვე დამარცხებული არ ჰგონიათ და „რაინპარკზეც“ მაგარ ბრძოლას ელიან.

ვნახოთ, ჯერჯერობით „დინამოს“ გიორგი მერებაშვილისა და გაბონელი ჟორჟ აკირემის გოლებით მეტოქესთან ხელსაყრელი უპირატესობა აქვს, დანარჩენი კი ხვალ... ჩვენი დროით, მატჩი ათის ნახევარზე დაიწყება.



ბადრი კოტორაშვილის ფოტო

**კობა ინასარიძე**

# იაშვილის პასიანი დებიუტი




**გუშინ** შვეიცარიულ სუპერლიგაში სანდრო იაშვილის დებიუტი შედგა. „თუნმა“ შინ 1:0 სძლია „სენტ გალენს“ და ამაში ქართველმა თავდამსხმელმაც შეიტანა წვლილი — მეორე ტაიმიდან თამაშში ჩართულმა იაშვილმა საგოლე პასი მიაწოდა ანდრეს გერბერს და...

ეს ამბავი 51-ე წუთზე მოხდა და საბოლოოდ მატჩიც ასე დამთავრდა.

მოკლედ, შეგვიძლია, სანდროს დებიუტს წარმატებული ვუწოდოთ და იმედია, „თუნის“ ქართველი ახალწვეული მალე შეძლებს პირველი შვეიცარიული გოლის გატანასაც.

**კახა შალამბერიძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 1 მატჩები

**პიუნიკი (სომხეთი) 0:2 შახტარი (უკრაინა)**
0:1 გლადკი (44), 0:2 ბრანდაო (49)

**ტამპერე (ფინეთი) 1:0 ლევსკი (ბულგარეთი)**
1:0 პეტრესკუ (16)

**კოპენჰაგენი (დანია) 1:0 ბეითარი (ისრაელი)**
1:0 ოლბოკი (9)

**გენკი (ბელგია) 1:2 სარაევო (ბოსნია)**
0:1 რაშიჩი (14), 1:1 კორნელისი (27), 1:2 მუამეროვიჩი (86)

**დებრეცენი (უნგრეთი) 0:1 ელფსბორგი (შვედეთი)**
0:1 მობაკი (65)

**ზაგლებე (პოლონეთი) 0:1 სტიაუა (რუმინეთი)**
0:1 გოიანი (56)

**რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 ზეტა (ჩერნოგორია)**
1:0 ვეირი (55), 2:0 მაკკალოხი (73)

## უეფას თასი 2007-2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

***კაერიენგი (ლუქსემბურგი)*** **1:0 ლილესტრიომი (ნორვეგია) (1:2)**
1:0 ბულაპაფარი (49)

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
II ტური

ვოლფსბურგი (მ) 3:2 ბრაუნშვაიგი

### შვედეთი

ალსვენსკა
გადადებული მატჩი

გიოტებორგი 2:0 იორებრო

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
I ტური

შვადორფი 1:3 აუსტრია (მ)
აუსტრია (ლ) 2:0 ლეობენი
გრატკორნი 1:2 ზალცბურგი (მ)
კაპფენბერგი 2:1 ლუშტენაუ
კერნტენი 0:1 შვანენშტადტი
აუზე 2:3 პარნდორფი

### შვეიცარია

სუპერლიგა
III ტური

თუნი 1:0 სენტ გალენი

### ამხანაგური მატჩები

ვატენშაიდი 2:1 ბოხუმი
ფრაიბურგი 3:0 კარლსრუე
აალენი 2:4 შტუტგარტი
ტვენტე 2:1 ძსანთი
ოსი 2:2 ნაიმეგენი
ჰელმონდი 3:1 როდა
ბრონდბიუ 0:2 ჩელსი
კიოლნი 3:1 ბაიერნი
ბარნსლი 0:2 უიგანი
დარლინგტონი 0:1 ლიდსი
ჰანოვერი 3:0 რეალი
ბორნმუთი 1:4 პორტსმუთი
როვერსი 3:3 ვესტ ბრომვიჩი
კარლაილი 0:2 მიდლსბრო
ძოვენთრი 1:1 ესპანიოლი
მილუოლი 0:1 საუთჰემპტონი
ნორთჰემპტონი 0:3 ვულვზი
ნორვიჩი 1:2 ვესტ ჰემი
ოლდემი 2:0 უენსდი
პიტერბრო 0:3 ბირმინგემი
სუინდონი 0:1 ბრისტოლი
კრისტალ პალასი 1:1 ანდერლეხტი
ევერტონი 2:2 ვერდერი

# 350 000 დოლარი! ამდენი ღირს ტორპედოს სიცოცხლე

ქუთაისის „ტორპედომ“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიული ფეხბურთის ლიგას ფინანსური გარანტიები ვერ წარუდგინა. საქართველოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა იმერლებს ვადა 3 აგვისტომდე გადაუწია. „ტორპედომ“ ამ სამ დღეში უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუ არა და, დაქვეითება ემუქრება. გუშინ კლუბის სპორტულ დირექტორ ვლადიმერ კაკაურიძეს დავუკავშირდით და შექმნილ ვითარებაზე ვესაუბრეთ...

— 3 აგვისტომდე თანხა აუცილებლად უნდა მოვიძიოთ, ამ საქმეში მხარის გუბერნატორი და ქალაქის ხელმძღვანელობაც გვეხმარებიან. „ტორპედომ“ აუცილებლად უნდა ითამაშოს უმაღლეს ლიგაში.

— კლუბი ქალაქს არ ეკუთვნის. აქვთ თუ არა მათ უფლება, „ტორპედო“ დააფინანსონ?

— „ტორპედო“ იურიდიულად კომპანია „სამი ტუზის“ მფლობელობაშია, მაგრამ მათ დაფინანსება შეწყვიტეს და კლუბის გაყიდვა სურთ. ამ ეტაპზე ქალაქმა რომ გაიაფორმოს, არ ესწრება, ამიტომ ისინი იმ ინვესტორის ძებნაში გვეხმარებიან, ვინც „ტორპედოს“ იყიდის, თუმც მანამდე მთავარი იმ საწევრო თანხის მოძიებაა, რაც უმაღლესში თამაშის გარანტიას მოგვცემს. ამას ვინც გადაიხდის, სამადლო და საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს — „ტორპედოს“ უმაღლესიდან მოკვეთა ქალაქში ფეხბურთის მოკვლაა. სამომავლოდ მის აღდგენას წლები დასჭირდება.

— და რა თანხას ითხოვს „სამი ტუზი“?

— 350 000 დოლარს, მაგრამ ინვესტორს ამ თანხის გადახდა ეტაპობრივადაც შეეძლება, ეს უკვე მოლაპარაკების საკითხია. „სამ ტუზს“ დახარჯული თანხის ამოღება სურს. ვინც გადაიხდის, კლუბის ასპროცენტიანი მფლობელი გახდება.

— რამდენიმე სავარაუდო ვერსია ითქვა, ხომ არ უნდა ველოდოთ ახალ მეპატრონეს უახლოეს დროში?

— ის ვერსიები ვერსიებად დარჩა, ჯერჯერობით „ტორპედო“ ჰაერშია გამოკიდებული.

— გამოდის, „ტორპედოს“ ბედი დღესაც გაურკვეველია...

— ორ-სამ დღეში ყველაფერი უნდა მოვასწროთ, სხვაგვარად არ შეიძლება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივი ფრეობს, ყენია ისევ თბილისშია


გიორგი კიკნაძე

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და რეგიონალლიგელ „ოლიმპიკს“ 1:1 ეთამაშა. რკინიგზელთაგან გოლი გიორგი მიქაძემ გაიტანა, ვინც მართლაც კარგ ფორმაშია — ამასწინანდელ ამხანაგურში თბილისის „ნორჩ დინამოელთან“ (3:3) ჰეთ თრიქი შეასრულა.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ ასეთი ძირითადი თერთმეტეული ათამაშა: *გვარამაძე, გ. კვახაძე, ლალაძე, დ. ფოფხაძე, ხოხონიშვილი, მალიჩავა, სამხარაძე, ყენია, მ. ქლენტი, გულორდავა, მიქაძე.*

როგორც ხედავთ, 16 წლის ლევან ყენია კვლავ „ლოკომოტივშია“ — საბუთების პრობლემის გამო გელზენკირხენის „შალკეში“ მის წასვლას საშველი არა და არ ადგება.

**ოთარ მხეიძე**

# ბორჯომმა ჩიხურა დაამარცხა

**გუშინ** „ბორჯომი“ პირველლიგელ საჩხერის „ჩიხურას“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 2:1 სძლია.

კურორტელები ამირან ყველაშვილის გოლით დაწინაურდნენ, საჩხერელმა გიორგი ვაშაძემ გათანაბრება მოახერხა, თუმცა გამარჯვება მაინც ვლადიმერ ხაჩიძის გუნდს დარჩა — გოლი ნასყიდაშვილის ანგარიშზეა.

**ნუკრი ლოლაძე**

# სეგრტის თურქული არმია

**4 აგვისტოს** საქართველოს ნაკრები თურქულ „ტრაბზონსპორს“ ამხანაგურად გაეჯიბრება. როგორც უკვე გამცნეთ, ეს მატჩი „ტრაბზონის“ 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართება.

ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა იმ ფეხბურთელების ვინაობა დაასახელა, რომელთაც თურქეთში იახლებს...

***მეკარეები:*** *გიორგი მაკარიძე (დინამო), რ. კვასხვაძე (ზესტაფონი);*

***მცველები:*** *დავით მჭედლიშვილი, გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია (ყველა ამერი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), უჩა ლობჟანიძე (დინამო), გიორგი თავბერიძე (სიონი), ამირან სანაია (ზესტაფონი), აკაკი ხუბუტია (შილუტე, ლიტვა);*

***ნახევარმცველები:*** *ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი (ყველა ზესტაფონი), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), კახა მახარაძე (ბათუმი), ბექა ქლენტი (ტორპედო, რუსეთი), გიორგი თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია);*

***თავდამსხმელები:*** *ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ორივე ოლიმპი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).*

როგორც ხედავთ, პეტარ სეგრტი თურქეთს არაოპტიმალური შემადგენლობით ეწვევა. ნაკრებს რამდენიმე ლეგიონერი და „დინამოს“ ფეხბურთელები დააკლდებიან. რაც შეეხებათ ამერელებს, გვაძაბია ნაკრებს 2 აგვისტოს დილით გაჰყვება, მჭედლიშვილი და ელბაქიძე კი პოლონურ „ბელხატუვთან“ მატჩის შემდეგ პირდაპირ თურქეთში შეუერთდებიან ნაკრებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



## საქართველოს ჩემპიონატი 19 — უმაღლესი ლიგა — კალენდარი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

10 აგვისტო, პარასკევი
მესხეთი – მგლები
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ამერი

11 აგვისტო, შაბათი
ტორპედო – ბათუმი
ოლიმპი – დინამო
სიონი – სპარტაკი

12 აგვისტო, კვირა
ბორჯომი – მერანი

**მეორე ტური**

17 აგვისტო, პარასკევი
მგლები – მერანი
სპარტაკი – ბორჯომი

18 აგვისტო, შაბათი
ბათუმი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მესხეთი – ზესტაფონი

19 აგვისტო, კვირა
ამერი – ტორპედო
დინამო – სიონი

**მესამე ტური**

24 აგვისტო, პარასკევი
ლოკომოტივი – მესხეთი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
მერანი – სპარტაკი
სიონი – ბათუმი

25 აგვისტო, შაბათი
ბორჯომი – დინამო
ზესტაფონი – მგლები
ოლიმპი – ამერი

**მეოთხე ტური**

31 აგვისტო, პარასკევი
ზესტაფონი – ლოკომოტივი

1 სექტემბერი, შაბათი
მგლები – სპარტაკი
ბათუმი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი

2 სექტემბერი, კვირა
ამერი – სიონი
დინამო – მერანი
მესხეთი – ტორპედო

**მეხუთე ტური**

14 სექტემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი – მგლები
ტორპედო – ზესტაფონი
ოლიმპი – მესხეთი
სიონი – ვიტ ჯორჯია

15 სექტემბერი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
მერანი – ბათუმი
სპარტაკი – დინამო

**მეექვსე ტური**

22 სექტემბერი, შაბათი
ზესტაფონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – ტორპედო
ბათუმი – სპარტაკი

23 სექტემბერი, კვირა
მგლები – დინამო
ამერი – მერანი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
მესხეთი – სიონი

**მეშვიდე ტური**

28 სექტემბერი, პარასკევი
ტორპედო – მგლები
სიონი – ზესტაფონი
ბორჯომი – მესხეთი
მერანი – ვიტ ჯორჯია

29 სექტემბერი, შაბათი
ოლიმპი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ამერი
დინამო – ბათუმი

**მერვე ტური**

5 ოქტომბერი, პარასკევი
მესხეთი – მერანი

6 ოქტომბერი, შაბათი
მგლები – ბათუმი
ამერი – დინამო
ტორპედო – ოლიმპი

7 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – სიონი

**მეცხრე ტური**

19 ოქტომბერი, პარასკევი
სიონი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ამერი

20 ოქტომბერი, შაბათი
სპარტაკი – მესხეთი

21 ოქტომბერი, კვირა
მერანი – ზესტაფონი
ოლიმპი – მგლები

**მეათე ტური**

27 ოქტომბერი, შაბათი
მგლები – ამერი
ტორპედო – ბორჯომი
მესხეთი – დინამო

28 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ზესტაფონი – სპარტაკი
ლოკომოტივი – მერანი
ოლიმპი – სიონი

**მეთერთმეტე ტური**

9 ნოემბერი, პარასკევი
ბორჯომი – ოლიმპი
ბათუმი – მესხეთი

10 ნოემბერი, შაბათი
ამერი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ლოკომოტივი
სიონი – მგლები

11 ნოემბერი, კვირა
მერანი – ტორპედო
დინამო – ზესტაფონი

**მეთორმეტე ტური**

23 ნოემბერი, პარასკევი
სიონი – ბორჯომი
მგლები – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – სპარტაკი
ოლიმპი – მერანი

24 ნოემბერი, შაბათი
მესხეთი – ამერი
ზესტაფონი – ბათუმი
ლოკომოტივი – დინამო

**მეცამეტე ტური**

1 დეკემბერი, შაბათი
სპარტაკი – ოლიმპი
ბათუმი – ლოკომოტივი
ამერი – ზესტაფონი

2 დეკემბერი, კვირა
დინამო – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – მესხეთი
ბორჯომი – მგლები
მერანი – სიონი

აგვისტოში მატჩები დაიწყება 17 საათზე, სექტემბერში 16 საათზე, ოქტომბერში 15 საათზე, ნოემბერ-დეკემბერში 14 საათზე.

მეორე წრე, სავარაუდოდ, 17 თებერვალს დაიწყება. დღეს კი დავით ყიფიანის სახელობის თასის ფაზების გათამაშების კენჭისყრა გაიმართება.

# მე ფულისთვის არ მოვსულვარ

## ირაკლი მაჭავარიანის ფიქრები და გეგმები

27 ივლისს დედაქალაქის მერიამ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ტენდერის გამარჯვებულად შპს „ლოკომოტივი 36“ გამოაცხადა, რომელსაც სტადიონი 30-წლიანი ვადით გადაეცა. „ლოკომოტივი 36“-ის დირექტორ ირაკლი მაჭავარიანს გუშინ ვესტუმრეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა...



— შპს „ლოკომოტივი 36“-ის დამფუძნებელიც მე ვარ და დირექტორიც. მყავს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პარტნიორები, კერძოდ, შვეიცარიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივიც“ და საფეხბურთო კლუბიც 1936 წელს შეიქმნა. ჩვენი სახელწოდებაც ტრადიციიდან მოდის. მე და ჩემი პარტნიორები დიდი ხანია, ერთად ვმუშაობთ, რათა ეს ობიექტი ჩვენს მფლობელობაში გადმოსულიყო. მადლობა უფალს, ეს მოვახერხეთ.

— პირველ რიგში, რის გაკეთებას აპირებთ?

— ხელშეკრულება გვავალდებულებს, რომ ხუთ თვეში ცენტრალურ და სათადარიგო მოედნებზე საფარი უნდა გამოვცვალოთ. ჩემი ნება რომ იყოს, ჯერ სხვა სამუშაოებით დავიწყებდი. ღლევანდელი მინდვრის მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არ არის — საქართველოში ძალიან ცოტა სტადიონია, სადაც ასეთი საფარია. ეს ორ წელიწადს კიდევ გაუძლებდა, მაგრამ რას ვიზამთ, ხელშეკრულების პირობებს ვერ დავარღვევთ. ისიცაა, რომ სხვა სამუშაოს ჩატარებისას, შესაძლოა, ახალდაგებული მინდორი დაზიანდეს. თუმცა დეკემბრამდე მინდვრის გამოცვლას ფიზიკურად ვერ დავიწყებთ — აქ ხომ რამდენიმე გუნდმა უნდა ითამაშოს.

— მერიის ერთ-ერთი პირობა ტრიბუნების კეთილმოწყობაც იყო...

— დასავლეთ ტრიბუნის მსგავსად გადაიხურება დანარჩენებიც. ტრიბუნის სახურავზე კი დამონტაჟდება სტადიონის განათება, რომელიც ახლა ძალიან მოშორებითაა.

— სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი სად გაკეთდება?

— ტრიბუნების ქვეშ 2 ათას კვადრატული მეტრი ფართობი ამჟამად გამოუყენებელია, სადაც ვაპირებთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობას. ხელშეკრულებაში ასევე გვიწერია ფიტნესკლუბისა და სასტუმროს აშენება, თუმც ამის გარდა კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვგეგმავთ. მე ფულისთვის არ მოვსულვარ — აქ ფეხბურთის სიყვარულმა მომიყვანა. ყველამ ვიცით, საქართველოში ფეხბურთი მომგებიანი სპორტი არ არის, ათი წლის შემდეგ კი შეიძლება, რამე შეიცვალოს.

— სტადიონის საქირაო ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება?

— ჩვენი სტადიონის დაქირავება „ეროვნულზე“ გაცილებით იაფი იქნება.

— მაინც საინტერესოა, ტენდერში მონაწილეობა რატომ მიიღეთ? აქ ხომ დიდ თანხებზეა საუბარი...

— ჩემი სურვილია, ქართულ ფეხბურთს და საერთოდ სპორტს დავეხმარო. ეს არის და ეს.

— ჩანს, „ლოკომოტივის“ გულშემატკივარი ხართ...

— 52 წლის კაცი ვარ და 9 წლის ვიყავი, როცა „ლოკომოტივის“ გულშემატკივარი გავხდი. ცხონებული ნოდარ ახალკაცი მაშინ ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო. მას შემდეგ დიდი სურვილი მქონდა, ამ გუნდს დავხმარებოდი. ახლა მომეცა ამის შესაძლებლობა — აპრილში კლუბის აქციების 25 პროცენტი შევიძინე, დანარჩენს კი „სილქ როუდ გრუპი“ ფლობს. სტადიონის ტენდერში კონკურენტები კი ვიყავით, მაგრამ კლუბში პარტნიორები ვართ. ასევე მინდა, მხარში ამოვუდგე ჩვენს მორაგბეებსაც მიუხედავად იმისა, რომ მათ წლების განმავლობაში სათანადო პირობები არ ჰქონდათ, პირველობა მაინც არავისთვის დაუთმიათ.

ჩემი ოცნებაა, „ლოკომოტივის“ საფეხბურთო კლუბი საქართველოს ჩემპიონი გახდეს და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს.

— და ერთიც: აქამდე რას საქმიანობდით?

— რამდენიმე წელი პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ვიყავი კონფლიქტების მოგვარების საკითხში და საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს ცხინვალის მთავრობასთან, კერძოდ, დიმიტრი სანაკოევთან. მოგეხსენებათ, ცხინვალის „სპარტაკი“ უმაღლესში ითამაშებს და მზად ვართ, სავარჯიშო მოედნით დავეხმაროთ და მათი სტადიონის კეთილმოწყობაზეც ვიზრუნოთ. ეს სატენდერო პირობებშიც მეწერა და გამარჯვების ერთ-ერთი ფაქტორი ალბათ ესეც იყო.

**ნუკრი ლოლაძე**



# დავით მუჯირმა კაპიტნობა იუარა!

**სამარის** „კრილია სოვეტოვის“ ქართველი შემტევი დავით მუჯირი სეზონის დაწყებიდან კაპიტნის სამკლავურით მიუძღოდა გუნდს. ეს პატივი მას, როგორც ვიცე-კაპიტანს, ანდრეი გუსინის ტრავმის და მისი გუნდიდან წასვლის შემდეგ ერგო. როცა გუსინი „კრილიადან“ წავიდა, ფეხბურთელებს არც უყოყმანიათ — მუჯირზე თქვეს, კაპიტანი უკვე გვყავს და ახლის არჩევა საჭირო არ არისო.

და აი, ახალი ამბავიც: „სატურნთან“ (0:1) მატჩის შემდეგ მუჯირმა კაპიტნობაზე უარი თქვა.

„ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, კაპიტნობაზე უარი ვთქვა — განაცხადა მუჯირმა — ასე აჯობებს, რადგან გუნდს ისეთი კაპიტანი სჭირდება, რომელსაც ყოველ მატჩში არ ცვლიან და რომლის ადგილიც სასტარტოში ეჭვს არ იწვევს. დღეს არ იყო ჩემი დღე. ამიტომაც არ გამკვირვებია, შესვენებამდე რომ შემცვალეს, მაგრამ ყოფილა მატჩები, როდესაც კარგად ვთამაშობდი და მაინც მცვლიდნენ...

–ეს არ ნიშნავს, რომ ჩემსა და მწვრთნელს შორის კონფლიქტია. მე ვუთხარი სერგეი ობორინს, რომ ეს ფაქტი საქმეს არ ავნებს და მასთან ნორმალური ურთიერთობა მექნება“.

ქართველი ნახევარმცველი კი უარობს ობორინთან კონფლიქტს, მაგრამ ეს ნაბიჯი ასე უმნიშვნელოც არ უნდა იყოს — ჩანს, მუჯირს მართლა გადაუწყვეტია გუნდის გამოცვლა.

როგორც ადრე გაუწყეთ, მის შეძენას რამენსკოეს „სატურნი“ ცდილობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველია დააწინაურეს: ნახევრად წინ, ნახევრად უკან

უკრაინის ჩემპიონატში სამი ტური მიილია და ზაპოროჟიეს „მეტალურგსაც“ კარგი სტარტი გამოუვიდა — ორი მოგება, ერთი ფრე. თანაც, საკუთარ კარში ბურთი არ მიუღიათ. იმ ორი გატანილ გოლში კი ასისტენტობა ორჯერვე დავით კვირკველიამ იკისრა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია, ვინც ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. კვირკველიას გუშინ ზაპოროჟიეში შევეხმიანეთ...



— სტარტი მართლაც კარგი გამოგვივიდა. ბოლო ტურშიც რომ მოგვეგო, უკეთესი იქნებოდა. პირველ ტაიმში ორი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მეორე ტაიმი კი ქაოსური იყო, უფრო ბურთის გადაგდება-გადმოგდებაზე წავიდა თამაში, მერე მეტოქეც დაცვაში ჩაჯდა და გოლის გატანა ვეღარ მოვახერხეთ.

— ორი მომენტი შენც გქონდა...

— უეჭველი გასატანი იყო, ვერ ვიტყვი. ერთი ფლანგიდან ჩაწოდებას ვაპირებდი, მაგრამ საჯარიმოში არავინ იყო და შორეულ კუთხეში დავარტყი — მეკარე ბოლო წამს მისწვდა. ერთიც შორიდან, მაგრამ არც ისე ძლიერად დავარტყი — ისევ მეკარემ აიღო.

— ამ სამ ტურში „მეტალურგმა“ ორი გოლი გაიტანა და ორივე შენი პასებით...

— ორივე გოლი სტანდარტებიდან გავიდა — ერთი კუთხურით, მეორე ჯარიმით. სტანდარტულ სიტუაციებს კი გუნდში მე ვასრულებ.

— ძალიან ხშირად ერთვები ხოლმე შეტევებში. ეს მწვრთნელის დავალებაა?

— არა, საქმე ისაა, რომ წლეულს მწვრთნელი ნახევარდაცვაში მათამაშებს, ამიტომ შეტევებში მონაწილეობა ჩემთვის სავალდებულოცაა.

— ასეთი სტარტის შემდეგ ხელმძღვანელობას ამბიცია ხომ არ მოემატა?

— ხელმძღვანელობას კონკრეტული დავალება არც მოუცია, თუმც წარმატება ყველასახარებს. რაც უკეთ ვითამაშებთ, ჩვენთვისვე იქნება უკეთესი.

— ირაკლი მოდებაძეს რატომ არ ათამაშებენ. დუბლებში გოლებიც გააქვს და საგოლე პასებსაც უხვად არიგებს...

— ვერ გეტყვით, რას ფიქრობს მწვრთნელი. ირაკლი კი მართალა კარგ ფორმაშია — ბოლო მატჩში პენალტი გაიტანა და სამი საგოლე პასიც გააკეთა. არადა, მოედანზე სულ ნახევარი საათი იყო.

— ნაკრების მწვრთნელები ხომ არ შეგხმიანებიან, ან თამაშებს ხომ არ დასწრებიან?

— არა, ბოლო ხანს არავინ შემხმიანებია. ალბათ მომავალ სანაკრებო მატჩამდე საუბარი გვექნება, იქამდე კი ჯერ დიდი დროა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მანჩესტერი დაიოთხა

## ალექსი ჟოზეს ეჭიქლავება



**ალექს ფერგიუსონმა** გადაწყვიტა, ჟოზე მაურინიუს დაუმტკიცოს, რომ „კვადრაპლის“ შესრულება, ანუ პრემიერლიგის გუნდისთვის ერთ სეზონში ხელმისაწვდომი ოთხივე ჯილდოს მოგება შესაძლებელია. სანამ სიტყვას გავაგრძელებდეთ, ჩამოვთვალოთ ეს ჯილდოები: პრემიერლიგის ჩემპიონობა, ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასები და ჩემპიონთა ლიგის თასი.

მაურინიუ გასულ სეზონში თავად აპირებდა „ოთხმაგი გმირობის“ ჩადენას, მაგრამ ვერ შეძლო და მერე თქვა, თუ ამის გაკეთება მე ჩემი „ჩელსით“ ვერ შევძელი, ესე იგი, სხვა, მით უმეტეს, ვერ მოახერხებსო.

მაგრამ, აი, ახლახან, მანჩესტერელმა რიო ფერდინანდმა დაიქადნა, „კვადრაპლზე“ ჩვენ გავიქაჩებითო და სერ ალექსმაც წაახალისა თავისი შეგირდი. „იუნაიტედის“ შეფი დარწმუნებულია, რომ ამ სეზონში, მის განკარგულებაში, ძალიან ძლიერ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფია, რომელსაც იოლად შეუძლია როგორც პრემიერლიგის რეგულარული შეჯიბრების მოგება, ასევე პლეი ოფის სისტემაზე აგებულ ტურნირებში გამარჯვება.

„ჩვენ ჩინებული გუნდი და ამ გუნდს დამატებული რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს. ამ ახალგაზრდებს ლიგის თასისთვის შეუძლიათ იბრძოლონ. მათვე შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგაში საუცხოო სათადარიგოობა გასწიონ. ერთი სიტყვით, სწორი ფეხბურთის შემთხვევაში, ჩვენ ყველა შეჯიბრებაში გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს“.

გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ჩელსის“ ინგლისის ჩემპიონობა ააცალა, რითაც ლონდონელებს ინგლისური ტიტულების ჰეთ თრიქის შესრულებაში შეუშალა ხელი. რაც შეეხება თასებს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე ფერგიუსონის გუნდმა „ჩელსისთან“ ფინალში წააგო 0:1, ხოლო ლიგის, ანუ „კარლინგის“ თასზე უსუსტეს „საუთენდთან“ დამარცხდა, რადგან ამ შეჯიბრებას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა. ჩემპიონთა ლიგას „იუნაიტედი“ ნახევარფინალში „მილანთან“ ბრძოლაში გამოეთიშა.

რაც შეეხება „ჩელსის“, როგორც მოგახსენეთ, ის ორივე ინგლისური თასის მფლობელი შეიქნა, პრემიერლიგაში მეორეზე გავიდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგიდან „მანჩესტერის“ მსგავსად, ნახევარფინალიდან გავარდა.

სწორედ ამის შემყურე მაურინიუმ განაცხადა, ასეთი დაძაბული რიტმი და კალენდარი ნებისმიერი გუნდისთვის მეტისმეტიაო.

„მითქვამს და ვიმეორებ, არ მჯერა, რომ ვინმეს ეს შეუძლია. მეტსაც გეტყვით, გასული სეზონის ბოლოს, როდესაც „ჩელსი“ ჯერ კიდევ ოთხივე შეჯიბრებაში მონაწილეობდა და თითქოს მიზანთან ახლოს იყო, გულის სიღრმეში მაინც არ მჯეროდა, რომ ამას შევძლებდით...

...„მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ „მანჩესტერ იუნაიტედია“, მართალია, „კარლინგის“ თასიდან უკვე გავარდნილი იყო, მაგრამ დანარჩენ სამ შეჯიბრებაში ხომ კარგად გამოდიოდა? ჰოდა, წამით წარმოვიდგინოთ, რომ „კარლინგის“ თასიდანაც არ ყოფილიყო გავარდნილი, მაინც ვერ შეძლებდა „კვადრაპლის“ შესრულებას. საერთოდ, არ მგონია, რომ ეს შესაძლებელია“.

მაგრამ, ჩვენ უკვე კარგა ხნის დაჩვეულები ვართ, რომ ის, რაც ჰგონია მაურინიუს, არ ჰგონია ფერგიუსონს და პირიქით. „მანჩესტერის“ შეფი დარწმუნებულია, რომ ამ ზაფხულის შენაძენებმა მისი გუნდი „კვადრაპლისთვის“ საკმარისად გააძლიერა.

გავიხსენოთ ფერგიუსონის ნაწყიდობა: ბრაზილიელი გამთამაშებელი ანდერსონი, პორტუგალიელი გარემარბი ნანი და ინგლისელი ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივზი. ცნობილი ამბავია, რომ ამ ტრიოს, შესაძლოა, არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესიც დაემატოს.

ფერგიუსონი: „ნანი და ანდერსონი უდიდესი ნიჭის მქონე ფეხბურთელები არიან. თან ერთიცა და მეორეც კარიერას ახლა იწყებს. ისინი ძალიან სწრაფები არიან და ბურთთან ყოფნა უყვართ. ნანიზე დამატებით იმის თქმა შემიძლია, რომ მას ძალიან დიდი ხანია, ვაკვირდებოდით...

...როდესაც კრიშტიანუ რონალდუ ვიყიდე, მაშინვე ვიცოდი, რომ ლისაბონის „სპორტინგში“ ნანი თამაშობდა და ის ჩემი შემდეგი შენაძენი უნდა გამხდარიყო. იმხანად ნანის თავდასხმის ცენტრში ათამაშებდნენ. დღეს ნანის ორივე ფრთაზე შეუძლია თამაში და ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის გამანადგურებელ ძალას წარმოადგენს...

...ანდერსონს ნახევარდაცვის შუაშიც შეუძლია თამაში და თავდამსხმელებს უკანაც, ოღონდ შარშან ფეხი მოიტეხა და ჩვენც დიდი რისკის წინაშე აღმოვჩნდით. უნდა გვეყიდა თუ არა? ამ კითხვას საბოლოოდ ასეთი პასუხი გავეცით: მან „პორტუში“ რომ დაიწყოს თამაში და სახელი გაითქვას, მერე ხომ მისი ყიდვა ყველას მოუნდება და ამიტომ, ახლა გარისკვა ვამჯობინეთ“.

**პაატუნა ძიდია**

# მადრიდიდან მადრიდში

## რეიესი გვერდით სახლში გადავიდა

**23 წლის** ხოსე ანტონიო რეიესი „ატლეტიკომ“ „არსენალიდან“ 12 მილიონ ევროდ იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ესპანელი ნახევარმცველი წინა სეზონში მადრიდის „რეალში“ იყო განათხოვრებული და ჩემპიონი გახდა. ბოლო ტურის მატჩში „მალიორკასთან“ „რეალს“ საჩემპიონოდ აუცილებლად მოგება სჭირდებოდა და 3:0 იმარჯვა, მეორე გოლი კი შეცვლაზე შესულმა რეიესმა შეაგდო.

„არსენალმა“ ესპანელი 2004 წელს „სევილიადან“ შეიძინა. 110 მატჩში მან 23 გოლი გაიტანა. ბოლოს „მეთოფეებში“ 2006 წლის მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ ითამაშა.

რეიესი ინგლისურ კლიმატს ვერ შეეგუა და ამიტომ წავიდა ლონდონიდან მადრიდში. „რეალის“ ახალ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს მისი დატოვება აღარ სურდა და ფეხბურთელსაც შორს წასვლამ არ მოუწია — ქალაქის ერთი გუნდიდან მეორეს მიაშურა.

„ატლეტიკომ“ ამ ზაფხულს ტრანსფერებში უკვე 50 მილიონამდე ევრო დახარჯა. „ვილიარეალიდან“ ურუგვაელი დიეგო ფორლანი გადაიბირა, „ლივერპულიდან“ ლუის გარსია, „ბენფიკადან“ კი სიმაო საბროსა. „ათლეტებს“ საკმაოდ ძლიერი მეფლანგეები ეყოლებათ — მარცხნივ რეიესი, მარჯვნივ კი საბროსა.

მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ განაცხადა, რომ გუნდი 2010 წლიდან ახალ 75-ათასიან სტადიონზე გადავა, ხოლო „ვისენტე კალდერონი“, რომელზეც ახლა თამაშობენ, დაინგრევა და იქ პარკი გაშენდება.

**ვაჟა ხუციშვილი**






# ვინ არის სინამდვილეში ტაქსინ შინავატრა?!

**ადამიანთა** უფლებების დამცველთა ჯგუფებს შორის ყველაზე გავლენიანმა Human Rights Watch-მა პრემიერლიგაში წერილი აფრინა და ტაქსინ შინავატრას ვინაობა-რაობის კარგად გამოკვლევა ითხოვა. სხვა სიტყვებით, ადამიანის უფლებათა დამცველები ეჭვობენ, რომ „მანჩესტერ სიტის“ ახალ მეპატრონეს, ტაილანდის ყოფილ პრემიერმინისტრს ინგლისური კლუბის ფლობის უფლება არ აქვს. მიზეზი: იმ თავისი პრემიერობის დროს, ანუ 2001-2006 წლებში, მისტერ შინავატრას ბევრი ცუდი საქმე ჩაუდენია. ერთი სიტყვით, HRW პრემიერლიგას შეახსენებს, რომ მას ოფიციალურად აქვს კანონში პუნქტი, რომელიც ამ ლიგაში მომუშავე ადამიანის შესაფერისობას მოითხოვს.

შინავატრა, ბუნებრივია, აცხადებს, რომ ცხოვრებაში ადამიანთა უფლება არ დაურღვევია.

„ჩემი კლიენტის წინააღმდეგ მსგავსი ბრალდებები ადრეც წამოუყენებიათ, მაგრამ ისინი არასოდეს დამტკიცებულა — განაცხადა BBC-სთან საუბარში შინავატრას ვექილმა ნოპადოლ პატამამ და დასძინა — მინდა ყველას შევახსენო, რომ ნებისმიერი ადამიანი, სანამ მას ბრალი დაუმტკიცდება, უდანაშაულოა. მოპყრობასაც შესაფერისს მოვითხოვთ“.

ერთი სიტყვით, ნოპადოლ პატამა აცხადებს, რომ შინავატრა უდანაშაულოა და „მანჩესტერ სიტიც“ კანონების სრული დაცვით იყიდა, ადამიანის უფლებათა დამცველები კი ყოფილ პრემიერს სამ პუნქტში სდებენ ბრალს:

1. ნარკოტიკებთან ომის დროს (2003 წელს, სამი თვის განმავლობაში) ხალხის გასამართლების გარეშე ხოცვაში. სულ სიკვდილით დასჯილია 2 500 ადამიანი.

2. ტაილანდის არმიისთვის ქვეყნის სამხრეთში მცხოვრებ უკმაყოფილოთა ნებისმიერი მეთოდით გაჩუმების უფლების მიცემაში.

3. ტაილანდური პრესის შეზღუდვაში.

**პაატუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა






შონ ბინი

# კაპიტან ბლეიდის თავგადასავალი

## მაგარი ბიჭები ქალებს და ბავშვებს დაერივნენ

**რაქილა** პრემიერლიგა სადაცაა, კარს მოგვიკაკუნებს, მოდით, ის გავიხსენოთ, როგორ დაამთავრეს ინგლისელებმა წინა სეზონი და თან ეს ცირამალა გავაკეთოთ, ცხრილს ფსკერზე დავხედოთ.

ბოლო სეზონის ბოლო ტურში ინგლისელთა ფსკერზე ასეთი რამ მოხდა: „შეფილდ იუნაიტედმა" შინ „უიგანთან" წააგო, ხოლო „ვესტ ჰემმა", არც მეტი, არც ნაკლები, „ოლდ ტრაფორდზე" მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს" და ამ სრულიად მოულოდნელი კომბინაციის შედეგად შეფილდელები გავარდნენ.

სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა ნილ უორნოკმა, რომ სამსახურიდან უნდა წასულიყო.

„ასე ცუდად მას მერე არ ვყოფილვარ, რაც 13 წლისას დედ-მამა დამელუპა — ყვება არცთუ შორეული წარსულის ამბავს უორნოკი — ვიცი, ამ სიტყვების წაკითხვაზე ბევრი იტყვის, რომ ფეხბურთის გამო ასეთი განცდა სწორი არ არის, მაგრამ მე სწორსა და მცდარზე არ მოგახსენებთ. ყველაფერი სწორედ ასე იყო".

მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, იმ დღის უბედურებათაგან ეს გავარდნა ერთადერთი სულაც არ იყო. ცუდი ამბები მერე მოხდა, როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავმა შონ ბინმა სიმწრისგან ტუჩებდაკვნეტილ მწვრთნელს...

თუმცა, სჯობს, თავად უორნოკის სიტყვები მოვიტანოთ:

„თამაშის შემდეგ ოფისში წავედი, სადაც ჩემი ახლო მეგობარი პოლ ევანსი მელოდებოდა. იქვე იყო ჩემი მეუღლე შერონი და შვილები ემი და უილიამი. მე რომ მივედი, შერონი თავჩაღუნული ტიროდა. ბავშვებმაც იცოდნენ, რაში იყო საქმე — თურმე, ეს პრემიერლიგიდან გავარდნასთან სულაც არ იყო დაკავშირებული...

...თურმე, თამაში რომ დამთავრდა, დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ ჩემს ოფისში კლუბის ერთ-ერთი მოწილე და ჰოლივუდის ვარსკვლავი შონ ბინი შევარდნილა. ბინს თან გელფრენდი ხლებია. მას გამხეცებული სახით უკითხავს, სად ვიყავი, რაზეც შერონს უპასუხია, რომ პრესკონფერენციაზე ვარ და მალე მეც ოფისში მივალ. ამ პასუხის გაგონებზე ბინს ჩემი ცოლისა და ხუთი წლის ბიჭისთვის გინება აუტეხავს. თურმე ყვიროდა, შენი „ფაქინგ" ქმრის ბრალია, ჩვენი გუნდი პრემიერლიგიდან რომ გავარდა, ეგ შენი ქმარი „ფაქინგ" მეძავეა და მეტი არაფერიო...



აი, თურმე რამ „დალუპა" „შეფილდ იუნაიტედი"

...ეგ შონ ბინი კინოებში სულ მაგარ ბიჭებს თამაშობს. როგორია? მაგარი ბიჭი, რომელიც ქალს და ხუთი წლის ბავშვს მოერია... ეს რომ მიამბეს, გადავირიე. ბინის მოსაძებნად მივიწევდი, მაგრამ პოლმა მირჩია, ასეთ რამეზე დრო არ დამეხარჯა. ის, შესაძლოა, კინოვარსკვლავია, მაგრამ ჩემთვის კაცისა არაფერი სცხია...

...სხვათა შორის, ის ინციდენტი რომ არა, შესაძლოა, დღეს ისევ „შეფილდ იუნაიტედის" მწვრთნელი ვყოფილიყავი, მაგრამ ამ ინციდენტმა დამანახა, რომ კლუბის დირექტორატში ჩემს ზურგს უკან ზოგი იმას ფიქრობს, რასაც პირში არ მეუბნება და წამოვედი...

...ისე, ნამდვილად არ ვიცი, როდის მერე გახდა შონ ბინი საქმიანი დირექტორი. ის უფრო ცნობილი გულშემატკივრის როლში იყო, საქმიანი კი არასდროს არაფერი უთქვამს...

...არ დამავიწყდება, ერთხელ, დირექტორთა თათბირზე მთელი შოუ მოაწყო, ამბობდა, რომ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზს მიაგნო და იცის, რა უნდა შეიცვალოს, რათა ჩარხი ალმა დატრიალდეს. ყველანი მოუთმენლად ველოდით, როდის იტყოდა, კერძოდ, რას გულისხმობდა და აი, ამის დროც დადგა. მან თქვა: თქვენ მიგაჩნიათ, რომ კაპიტან ბლეიდი თავის მოვალეობას თავს კარგად ართმევს?!

...აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! თურმე „შეფილდ იუნაიტედის" მთავარი პრობლემა მისი „ფაქინგ" თილისმა ყოფილა, თოჯინა... და მინდა გითხრათ, რომ ყველაზე დიდი მონაწილეობა კლუბის მართვაში შონ ბინმა სწორედ მაშინ მიიღო. სხვათა შორის, ის თათბირი რომ დამთავრდა, კლუბის თავმჯდომარე კევინ მაკკეიბი ყველასთან საიდუმლოდ მოვიდა და ბინის საქციელისთვის ბოდიში მოგვიხადა...

...ჩემი ცოლ-შვილის დაშინების მეორე დღეს ეგ ბინი ვესტმინსტერში დავინაზე ფანებთან ერთად მიაბიჯებდა და კარლოს ტევესისა და „ვესტ ჰემის" ამბავს აპროტესტებდა, მაგრამ უკვე რეაქცია აღარ მქონდა...

...საერთოდ, როგორ არის, იცით? მე ქომაგებისა მესმის. მე მესმის, რომ მათ თავიანთი გუნდის წარუმატებლობა გულზე ხვდებათ და ამას თავისებურად გამოხატავენ. მახსოვს, „ბერიში" რომ ვმუშაობდი, ფანები მაგინებდნენ. ერთმა ინტერნეტში ისიც კი დაწერა, ნილ უორნოკის თავიდან მოსაშორებლად ერთადერთი გზა არსებობს, მის ცოლს უნდა ვესროლოთო, მაგრამ ამაზე არ გავბრაზებულვარ, რადგან ის ვიღაც ფანი იყო, შონ ბინი კი დირექტორატის წევრი ბრძანდებოდა და სხვა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მერედა, იმ ფანმა რაღაც იყბედა, ამ ბინმა კი მართლა მიაყენა ჩემს ცოლ-შვილს შეურაცხყოფა".

**ბაჩუნა ძიდია**

# ჰითროუ ჩინებული აეროპორტია

**„ჩელსიმ"** პირი დაალო: „ჰითროუს" აეროპორტში ბრაზილიელ ვარსკვლავ ალექსს ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახურის თანამშრომლები დახვდნენ და ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს, მუშაობის უფლება არ გაქვსო.

მერე რა მოხდა? ალექსი იძულებული შეიქნა, თვითმფრინავში ჩამჯდარიყო და ის 6 ათასი კილომეტრი, მის სამშობლოს პრემიერლიგისგან რომ აშორებს, უკან გადაეფრინა.

ახლა სახლშია და არ იცის, რა ბედი ელის.

ინგლისის „ჰოუმ ოფისის" განცხადებაში წერია:

„დიდი ბრიტანეთის სტუმრებმა უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში შეშვებამდე მათ შეამოწმებენ".

ამბავი, რომელიც „ჰითროუში" მოხდა, კვირა საღამოსია. ამაოდ უხსნიდა 25 წლის ბრაზილიელი (რომელიც ლონდონელთა მიერ სამი წლის განმავლობაში ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენში" იყო გაქირავებული) ინგლისელ ჩინოვნიკებს, რომ ის „ჩელსის" ფეხბურთელია და ლონდონში თანაგუნდელებთან შესაერთებლად ჩამოვიდა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ის, ვინც ევროკავშირელი არ არის, ბრიტანეთში სამუშაო ნებართვის გარეშე ფეხს ვერ შედგამს.

შეგახსენებთ კანონს, რომელიც „ჰოუმ ოფისმა" და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ოდესღაც ერთობლივად მიიღეს — ამ კანონის თანახმად, ფეხბურთელს ინგლისში თამაშის ნება რომ დართონ, საჭიროა, ბოლო ორი წლის განმავლობაში თავისი ქვეყნის ნაკრების თამაშთა 75 პროცენტში ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული.

ალექსმა საემიგრაციო სამსახურის მუშაკებთან ოთხი საათი იკამათა და შინ გაეშურა.

ამბობენ, სამუშაოდ კი არა, ინგლისში ისე, უბრალოდ რომ ჩასულიყო, ულაპარაკოდ შეუშვებდნენო.

ლონდონის „ჩელსის", ბუნებრივია, შეუძლია იჩივლოს და ამ საჩივარს 28 დღეში განიხილავენ.



**ბაჩუნა ძიდია**



ვინი ჯონსის ერთ-ერთი „მსხვერპლი“ მიხეილ ყაველაშვილი



ვინი ჯონსი და პოლ გესკოინი

ბადრი კამილაძის ფოტო

# ყოჩაღ, ბიჭი!
## ამერიკული ოცნების სკაუტი

თუ გნებავთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ, რომ ამერიკელებს ფეხბურთის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვთ, ეს წაიკითხეთ: „ლოს ანჯელეს გალაქსის“ შეფ-სკაუტმა, ანუ ძველებურად და „ჩვენებურად“ რომ ვთქვათ, მთავარმა სელექციონერმა, ფრიად სასაცილო რამ ჩაიდინა, თუმცა, სანამ ამ სასაცილო ამბავს გიამბობდეთ, შეგახსენებთ, რომ „ლოს ანჯელეს გალაქსი“ ის გუნდია, რომელშიც ამასწინათ დევიდ ბექჰემი გადავიდა და ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავის დახმარებით „დიდი ამერიკული რევოლუცია“ აქვს დაგეგმილი.

ახლა კი ამბავი. ხომ იცით, ვინც არის ვინი ჯონსი? ეს გახლავთ უელსელი კაცი, ჰოლივუდის, 90-იან წლებში კი „უიმბლდონისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ ვარსკვლავი, თავისი ქვეყნის ნაკრების წევრი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის 1998 წლის მფლობელი, ერთი სიტყვით, ტოპ-დონის ფეხბურთელი.

ქართველი გულშემატკივრისთვის საინტერესოა, რომ ჯონსმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა და როგორც „შლეგი ფეხბურთით“ ცნობილმა კაცმა, კარდიფულ შეხვედრაში მიხეილ ყაველაშვილს ფრიად მტკივნეულ ადგილასაც ჩაარტყა.

ბუნებრივია, ყაველაშვილი ერთადერთი არ იყო, ვინც ვინი ჯონსისგან სიმწარე იგემა, მაგრამ ამ თემაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ, აქ კი ის ამბავი მოვყვეთ, როგორ უთხრა „გალაქსის“ მთლად მთავარმა სკაუტმა უელსელს, ნიჭიერი ბიჭი ჩანხარ და მოდი, ერთი, ჩვენთან შემოიარე, გაგსინჯავთ, იქნებ აგიყვანოთ კიდევაცო.

თავად ჯონსი ხარხარით ყვება: „შვიდკაცა გუნდების ტურნირი იყო. ერთ შეხვედრაში 0:1-ს ვაგებდით. ნერვები მომეშალა, ეყოფათ დროსტარება-მეთქი და მართლა ავთამაშდი. მოკლედ, საიდანაც დავარტყი, ყველა ადგილიდან გოლი შევაგდე. თამაში რომ დამთავრდა ჩემთან „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მთავარი სკაუტი მოვიდა და მითხრა, შენ რა ყოჩაღი ყოფილხარ, მოდი ერთი, გასინჯვაზე გამოგვიარეო. გამეცინა, თხუთმეტი წლით დაგაგვიანდათ-მეთქი“.

საბრალო ამერიკელების გადარევის გარდა კი ვინი ჯონსი, ბუნებრივია, თავისი აწ უკვე მთავარი საქმითაც არის დაინტერესებული. კერძოდ, შვიდკაცა ტურნირის დროს ის მეუღლე ტანიასთან ერთად მეტიუ ვუგანის ახალი ფილმის, „სტარდასტის“, ანუ „ვარსკვლავური მტვერის“ პრემიერაზე გახლდათ ჩასული. ჯონსი თავადაც თამაშობს ამ ფილმში, რომელიც სასაცილო მომენტებით და სპეცეფექტებით არის სავსე. „სტარდასტში“ რობერტ დე ნიროც კი თამაშობს.

**ბაჩუნა ძედია**

# იტალიური ტოტალიზატორების მსხვერპლნი

„ტორინოს“ ფეხბურთელი დავიდე დი მიკელე ტოტალიზატორის თამაშისთვის სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

იგი ერთ-ერთია იმ ოთხეულიდან, რომლებსაც ფედერალურმა პროკურორმა სტეფანო პალიცამ ბრალი წაუყენა კანონის დარღვევისთვის.

დი მიკელეს გარდა დანაშაული დაუმტკიცდათ ვინჩენცო სომეზეს (5 თვე და 20 დღე), მასიმო მარჯოტას (ოთხი თვე) და ტომაზ მანფრედინის (სამი თვე).

ბიჭები შუამავლის დახმარებით ფსონებს ჩადიოდნენ იტალიის ჩემპიონატის მატჩებზე. სომეზე კი უფრო შორს წავიდა და ევროთასებისა და სანაკრებო მატჩებზეც თამაშობდა.

საქმეში სულ 13 ფეხბურთელი გაღიოდა, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი ვინჩენცო იაკინტაც იყო, მაგრამ სუფთად გამოძვრა.

დავიდე დი მიკელეს 20 ათასი ევრო ჯარიმაც აკრეს.



**ვაჟა ხუციშვილი**

# უფეხბურთოდ ვერ გავძლებ!

**დოპინგის** მოხმარებაში მხილებული სამპდორიელი ფრანჩესკო ფლაკი ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს.

მას შარშან უპოვეს სისხლში აკრძალული ნივთიერება და ამა წლის 31 მაისს ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

ფლაკი, რომელსაც „სამპდორიაში“ 241 მატჩი უთამაშია და კაპიტანიც ყოფილა, ახლა 32 წლისაა, მაგრამ 2009-ში კარიერის გაგრძელებას გეგმავს.

„მე ვარჯიშს ვაგრძელებ და კვლავ მსურს ფეხბურთის თამაში, რადგან მის გარეშე არ შემიძლია. გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვაპირებ და ვიმედოვნებ, რომ მალე მოედანზე დაბრუნებას შევძლებ“ — თქვა ფლაკიმ.

# ჟუანის პროცენტები

**„ლევერკუზენიდან“** „რომაში“ გადასულმა ბრაზილიელმა მცველმა ჟუანმა განაცხადა, რომ ფორმის პიკამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

„მხოლოდ 50 პროცენტით ვარ მზად — თქვა ფეხბურთელმა „ლევერკუზენთან“ ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელიც 2:2 დასრულდა — განსაკუთრებული შეხვედრა იყო, რადგან პირველად ვითამაშე „რომას“ მაისურით, თან ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. „კოპა ამერიკამ“ დამღალა და დასვენება ვერ მოვასწარი. ამიტომ დრო მჭირდება მოსალონიერებლად. აქ ყველა კარგად შემხვდა, განსაკუთრებით ფილიპ მექსეში და მალე ალბათ თანაგუნდელებს უკეთესად გავუგებ“.

# ლიპის კლიენტი

**ჯორჯო კიელინის** „იუვენტუსიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა უნდა, თქვა მისმა აგენტმა დავიდე ლიპიმ.

„მალე შევხვდები „იუვეს“ შეფებს და ჩემი კლიენტის ტრანსფერზე დაველაპარაკები. ვიმედოვნებთ, რომ ფეხბურთელი მალე „სიტის“ მაისურას მოიგებს. მას ძალიან სურს პრემიერლიგაში თამაში, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა თანხას მოითხოვს „იუვენტუსი“.

# პუცოლო: ნაპოლი გადაიხდის

**„რომას“** ნახევარმცველი მატეო ბრიგი ეგებ „ნაპოლიში“ გადავიდეს.

„ნეაპოლური კლუბი ფეხბურთელის შეძენით დაინტერესებულია — თქვა ბრიგის აგენტმა ვანი პუცოლომ — ერთი კვირის წინ უკვე ვისაუბრეთ და ვფიქრობ, რომ „რომას“ მიერ მოთხოვნილ თანხას „ნაპოლი“ გადაიხდის“.

26 წლის ნახევარმცველი ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „კიევოში“ იყო განათხოვრებული.

# მამა გუდიონსენს ჩაქუჩი მოსწონს

**„დეილი სტარის“** ცნობით, „ვესტ ჰემს“ „ბარსელონადან“ ეიდურ გუდიონსენის ყიდვა უნდა და 10 მილიონ გირვანქას იხდის.

კატალონიურ კლუბში ტიერი ანრის მისვლით ისლანდიელს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, გაუქრა და თვითონაც სურს კლუბის გამოცვლა.

გუდიონსენის მამამ და აგენტმა არნორმა განაცხადა, რომ „ჩაქუჩები“ მისი შვილისთვის ურიგო ვარიანტი არაა, რადგან ლონდონურ კლუბს ისლანდიელი ეგერტ მაგნუსონი პატრონობს.

# ბელარუსის შტანგე

**ბელარუსის** ნაკრების მწვრთნელად ბერნდ შტანგე დანიშნეს და ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან იური პუნტუსი შეცვალა, რომლის ხელშიც გუნდმა ევრო 2008-ის შესარჩევის შვიდ მატჩში მხოლოდ შვიდი ქულა მოაგროვა.

შტანგე ბოლოს კვიპროსში, ლიმასოლის „აპოლონში“ მუშაობდა. 2004 წელს მან ერაყის ნაკრები მიატოვა, რადგან სიკვდილით ემუქრებოდნენ.

შტანგეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაკრებში, ბერლინის „ჰერტაში“, ავსტრალიურ „პერტ გლორისა“ და ომანის ნაკრებშიც უმუშავია. 90-იანი წლების შუაში „დნიპროში“ და კიევის ცსკა-შიც იყო.

„ბელარუსის ნაკრებს უდიდესი პოტენციალი აქვს და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლა შეუძლია. მე ყველაფერს გავაკეთებ ამ მიზნის მისაღწევად“ — განაცხადა 59 წლის გერმანელმა.

# როსი იტალიის გარეთ

**ჯუზეპე როსის** აგენტმა ფედერიკო პასტორელომ განაცხადა, რომ ფეხბურთელი კარიერას იტალიაში არ გააგრძელებს.

ამერიკაში დაბადებული იტალიელი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეკუთვნის და წინა სეზონის მეორე ნახევარში „პარმაში“ იყო განათხოვრებული.

როსის ყიდვა „პარმას“, „ნაპოლისა“ და „ფიორენტინას“ სურდათ, მაგრამ პასტორელომ თქვა: „ჯუზეპეს საკითხი ხვალ გადაწყდება. ჩვენ საკმაოდ კარგი შემოთავაზება გვაქვს ესპანეთიდან და ინგლისიდან“.

იტალიური მედიის ვერსიით, ფორვარდს შეძენას „ვილიარეალი“ აპირებს, რომელიც „მანჩესტერს“ 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# სიახლე კაკაში

## ჟული ბაპტისტა და კასანო

ესპანური მედიის ცნობით, კაკას მსურველმა მადრიდის „რეალმა“ „მილანისთვის“ ახალი წინადადება გაამზადა — 75 მილიონი ევრო და ზედაც ჟულიო ბაპტისტა და ანტონიო კასანო.

გუშინწინ „მარკა“ წერდა, რომ „სამეფო კლუბი“ 90 მილიონი ევროს გადახდას აპირებს „მილანის“ ბრაზილიელში, გუშინ კი პირობები შეიცვალა.

„რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი შარშან არჩევნებისას შეჰპირდა ქომაგებს კაკას ყიდვას და ნათქვამის შესრულებას უკვე ერთი წელია, ცდილობს.

გუშინვე ევროკავშირის მოქალაქე გახდა ჟულიო ბაპტისტა, რომლის ფასიც დაახლოებით 15 მილიონი ევროა, ხოლო ანტონიო კასანო ამ გარიგებაში ხურდასავითაა, რადგან „რეალს“ მისი მოშორება უნდა. ბერნდ შუსტერმა იტალიელი სეზონის წინა შეკრებაზე არ წაიყვანა. „სამეფო კლუბს“ შარიანი ფეხბურთელის დატოვება გუნდში აღარ სურს და ცდილობს, რომ „მილანს“ შეაპაროს.

ვაჟა ხუციშვილი







# ადუს არჩივობა გადაწყდა

ფრედი ადუ ლისაბონის „ბენფიკამ“ მილიონ 500 ათას დოლარად იყიდა — წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

მეიჯორ ლიგის „სოლტ ლეიკის“ 18 წლის ბიჭი ორშაბათს ჩავიდა ლისაბონში ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად და პორტუგალიურ კლუბს მოურიგდა. მართალია, გარიგება ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ დღეს-ხვალ ქაღალდებს ხელს მოაწერენ.

პირველი პროფესიული კონტრაქტი ადუმ „დი სი იუნაიტედთან“ გააფორმა, როცა 14 წლის იყო და მეიჯორ ლიგის უყრმესი ფეხბურთელი გახდა. 2004-2006 წლებში მან 87 მატჩი ითამაშა „იუნაიტედში“.

ამას წინათ კანადაში გამართულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრედი ადუ აშშ-ის ნაკრებს კაპიტნობდა.

„ბენფიკა“ გასულ სეზონში მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება.

ვაჟა ხუციშვილი

# ბაიერნული მუხლები და მხარი

მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ გუშინ განაცხადა, რომ მუხლის ტრავმა მოიშუშა და ბუნდესლიგის პირველი ტურისთვის (11 აგვისტო) მზად იქნება.

„ფეხი აღარ მტკივა. სულ ოდნავ მაწუხებდა და გართულებას მოვერიდე. ამიტომაც გამოვტოვე ლიგის თასის ფინალი“ — თქვა 26 მილიონ ევროდ ნაყიდმა რიბერიმ.

შეგახსენებთ: თასის ფინალში „ბაიერნს“ ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკა ტონი, მარკ ვან ბომელი და ფრანკ რიბერი აკლდა, მაგრამ მაინც მოუგო „შალკეს“ მიროსლავ კლოზეს გოლით.

კლოზემ „შალკესთან“ მხარი იტკინა, მაგრამ პირველი ტურისთვის გამოკეთდება. „ბაიერნი“ ბუნდესლიგას როსტოკში „ჰანზასთან“ მატჩით იწყებს.

ორშაბათს, 6 აგვისტოს, „ბაიერნი“ გერმანიის თასის მატჩში მოყვარულთა გუნდ „ვაკერ ბურგჰაუზენს“ შეხვდება.

ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, რომ კლოზეს და ლუკა ტონის დაასვენებს — ამ შეხვედრაში არ ათამაშებს.

ტონის მუხლი სტკივა და ბოლომდე არ გამოკეთებულა. ძირითად შემადგენლობაში ალბათ 18 წლის სანდრო ვაგნერი იქნება, რომელმაც ლიგის თასის ნახევარფინალში „შტუტგარტს“ გაუტანა



ვაჟა ხუციშვილი

# ალარდაისმა მარტინსი დახურა

ინგლისური „ნიუკასლის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაყიდის ობაფემი მარტინსს.

„ეს საკითხი დახურულია. მარტინსი არ იყიდება!“ — ასე მოკლედ მოუჭრა ჟურნალისტებს ალარდაისმა.

ამავე აზრზეა თავად ნიგერიელი თავდამსხმელიც: „მე აქ ბედნიერი ვარ და წასვლას არ ვაპირებ“.

არადა, ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, მარტინსის გუნდიდან წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიაო.

კახა შალამბერიძე

# ბოდიში ლიტვურად





ვარშავის „ლეგიას“ ფეხბურთელები გასულ უქმეებზე ჩემპიონატის შეხვედრაში მინდორზე რომ გავიდნენ, მაისურებზე ეწერათ: „ბოდიში ვილნიუსს“.

ეს სიტყვები ლიტვურად ეწერა, რადგან 8 ივლისს ვილნიუსში, „ვეტრასთან“ ინტერტოტოს თასის მატჩი „ლეგიას“ ფანების მიერ ატეხილი ჩხუბის გამო ჩაიშალა.

უეფამ პოლონური კლუბი გათამაშებიდან მოკვეთა და სტადიონისთვის მიყენებული ზარალიც (20 ათასი ევრო) აანაზღაურებინა.

ვაჟა ხუციშვილი

## ჰიონესი: ხიმენესი დაბერდება

ბერლინის „ჰერტას“ არგენტინელი ფორვარდი კრისტიან ხიმენესი მექსიკურ „ტოლუკაში“ გადადის.

„ჩვენ საკმაოდ სარფიანი წინადადება მივიღეთ — თქვა „ჰერტას“ მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა — კრისტიანმა გასულ სეზონში კარგად ითამაშა, მაგრამ ნოემბერში 33-ის გახდება და ალბათ წასვლა ურჩევნია“.

„ტოლუკას“ არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე პეკერმანი თავკაცობს. მექსიკური კლუბი ფორვარდში 2 მილიონ 200 ათას ევროს იხდის.

ხიმენესმა წინა სეზონში 12 გოლი გაიტანა, მაგრამ ახლა „ჰერტას“ ლუსიენ ფავრი წვრთნის, რომელსაც არგენტინელის დატოვება არ უნდა.

## ბრაატენის ბოლტონი

„რუსენბორგის“ ნახევარმცველი დანიელ ბრაატენი „ბოლტონში“ გადადის. პრემიერლიგური კლუბი ნორვეგიელს 425 ათას გირვანქას ჩაუთვლის.

ბრაატენის კონტრაქტი „რუსენბორგთან“ წლის ბოლოს იწურებოდა. მისი შეძენა სხვა ინგლისურ და ფრანგულ კლუბებსაც სურდათ, მაგრამ 25 წლის ფეხბურთელმა „ბოლტონი“ არჩია.

## დიდებული გალი

პრემიერლიგაში დარუნებულმა „ბირმინგემმა“ „ტოტენჰემიდან“ ეგვიპტელი ნახევარმცველი ჰოსამ გალი 3 მილიონ გირვანქად იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

25 წლის ეგვიპტელი მერვე შენაძენია „ბირმინგემისა“ ამ ზაფხულს.

„დიდებული ბიჭია. ყოველთვის მსიამოვნებდა მისი თამაშის ნახვა“ — თქვა გუნდის მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა.

გალი „ტოტენჰემში“ 2006 წლის იანვარში „ფეიენოორდიდან“ გადავიდა და 34 მატჩი ითამაშა.

## ფერნანდაო გრძელდება

„ბორდომ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბრაზილიელმა ფერნანდაომ, რომელმაც „კოპა ამერიკა“ მოიგო, კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

ნახევარმცველი ფრანგულ გუნდში 2005 წელს „კატანიადან“ გადავიდა, მანამდე კი „სიენაში“ და ბრაზილიურ „ჟუვენტუდესა“ და „გრემიოში“ თამაშობდა.

„ბორდოში“ მან 63 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

## მოულოდნელი კოზაჩიკი

სლოვაკი მეკარე მატიუშ კოზაჩიკი ჩეხეთის ჩემპიონმა პრაღის „სპარტამ“ შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ტრანსფერი მოულოდნელი იყო, რადგან კოზაჩიკმა „სპარტას“ გულისთვის ამ გუნდის ისტორიული მეტოქე „სლავია“ მიატოვა, სადაც 2002 წლიდან იყო.

მეკარეს სლოვაკეთის 21-წლამდელთა და ძირითად ნაკრებშიც უთამაშია.

## კი დარწმუნებულია

სამხრეთ კორეის ნაკრების ნახევარმცველი სეოლ კი ჰეონი დარწმუნებულია, რომ „ფულემში“ გადავა.

28 წლის კორეელი „რედინგის“ ფეხბურთელია, მანამდე კი ბელგიურ „ანდერლეხტში“ თამაშობდა.

„რედინგში“ მას თადარიგში ჯდომა უწევდა და ამიტომაც სურს გუნდის გამოცვლა.

— „ფულემს“ ვუნდივარ და ბედნიერი ვიქნები იქ გადასვლით, რისი დიდი შანსიც არსებობს — თქვა კი ჰეონმა.

ვაჟა ხუციშვილი

# აბიდალის დევიზი: ცხოვრება მშვენიერია



ამ ზაფხულს „ლიონიდან" „ბარსელონაში" გადასული ერიკ აბიდალი კარგი მცველობის გარდა კარგი ხასიათითაც გამოირჩევა — იგი მუდამ მხიარულია და სახიდან ღიმილი თითქმის არასდროს შორდება. რამდენიმე დღის წინ მას „ბარსელონას" ერთი პატარა ქომაგი სასტუმროს კართან დაახლოებით ორი საათი ელოდა ბურთით ხელში. სასტუმროდან გამოსულმა აბიდალმა ბიჭუნას სიამოვნებით მოუწერა ხელი და ცოტა წაეთამაშა კიდეც. მოგვიანებით კი იგი „სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა...

**— თქვენს ტრანსფერზე „ლიონსა" და „ბარსელონას" შორის მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა. არ გეშინოდათ, რომ ტრანსფერი ჩაიშლებოდა?**

— საერთოდ არ მეშინოდა. პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ყოველთვის ასე იქცევა. ყველამ იცის, რომ „ლიონში" მისვლა ადვილია, მაგრამ იქიდან წამოსვლა ძალიან ძნელი. ოლა სატრანსფერო ამბებს ყოველთვის აზმაურებს და საქმეში პრესას რთავს, რათა საბოლოოდ, რაც შეიძლება, მეტი ფული მიიღოს. ასე რომ, წინასწარ ვიცოდი, ყველაფერი როგორც იქნებოდა. თუმცა მოლაპარაკებები მართლაც ძალიან გაიწელა.

**— რას წარმოადგენს თქვენთვის „ბარსელონა"?**

— მსოფლიოს საუკეთესო კლუბს. თითქმის ყველა დიდ ფეხბურთელს ნათამაშები აქვს „ბარსელონაში" და ყოველ წელს გუნდი ცდილობს, იმ მომენტისთვის საუკეთესო მოთამაშეები იყიდოს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემს თავს ვთვლი ერთ-ერთ საუკეთესოდ. ძალიან მიხარია, რომ ამ დიდი გუნდის წევრი ვარ.

**— ლუდოვიკ ჟიულიმ თანამემამულეებს „ბარსელონას" კარი გაუღო?**

— გარკვეულწილად, ასეა. სიმართლე ის არის, რომ ფრანგი ფეხბურთელების უმეტესობას სხვა ქვეყანაში ადაპტაცია უჭირთ, ეს განსაკუთრებით ესპანეთს ეხება. ლუდოვიკ ჟიულიმ „ბარსელონაში" რამდენიმე ბრწყინვალე სეზონი გაატარა დიდი წარმატებით და ჩვენთვის მართლაც კარგი მაგალითი შექმნა.

**— გაგვიზიარეთ თქვენი პირველი შთაბეჭდილებები „ბარსელონაზე".**

— მომეწონა გუნდში არსებული გარემო. ძალიან მომეწონა და დავაფასე ის, რომ შენთვის ყოველთვის მზად არის ახალი სათამაშო თუ სავარჯიშო ფორმა და ამაზე ზრუნვით თავის გადატვირთვა არ გიწევს. საფრანგეთში სხვაგვარადაა — ფეხბურთელი თავად აგებს პასუხს მთელ ამუნიციაზე და აეროპორტშიც 30-კილოიანი ზურგჩანთით გიწევს სიარული.

**— თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან მხიარული ადამიანი ხართ და „ლიონის" გასახდელში თქვენი წყალობით, ყოველთვის სასიამოვნო ატმოსფერო იყო. მართალია?**

— დიახ, მართალია. „ლიონის" გასახდელში სულ ვხუმრობდი და სხვადასხვა ოინებს ვიგონებდი, თანაგუნდელებს ვახალისებდი.

**— საიდან ასეთი ხასიათი?**

— მე მგონია, რომ ცხოვრება საერთოდ სახალისოა. ვფიქრობ, თუ ყველა მხიარული იქნება, მსოფლიო უკეთესი გახდება. დილის ცხრა საათზე ვილაცამ გასახდელში თანაგუნდელები უნდა გაახალისოს, რადგან იმ დროს ზოგი წესიერად გამოღვიძებულიც არ არის. არ მომწონს, როცა გასახდელში შევდივარ და იქ ნახევრადმძინარე მჟავე სახეებს ვხედავ. ჯობია, საქმეს კარგ განწყობაზე შეუდგე.

**— „ბარსელონაში" უკვე დაიწყეთ თანაგუნდელების გამხიარულება?**

— არა! პირველ დღეებში ეს ძნელია. მომეცით ერთი-ორი თვე და მერე ვნახოთ...

**— არის ბევრი იტალიური და ინგლისური გუნდი, რომელთა თამაშის სტილი საერთოდ არ ჰგავს „ბარსელონასას". „ლიონისა" და „ბარსელონას" შედარებაზე რა იტყვით?**

— ყველა კლუბი ინდივიდუალურია და თავისი ხელწერა აქვს. „ლიონში" ყველა ვუტევდით და ყველა თავს ვიცავდით. „ბარსელონაში" სხვაგვარადაა. აქ არის შემტევთა ჯგუფი და დაცვითი ჯგუფი. შედეგებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ აქაური სქემა უფრო სწორია, რადგან „ლიონს", „ბარსასგან" განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგა არ მოუგია.

**— არ ფიქრობთ, რომ „ბარსელონა" მომავალ სეზონში უფრო შეკრულ და შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, ვიდრე წინაში?**

— გუნდის შემადგენლობასა და შესაძლებლობებს თუ გადავხედავთ, ლოგიკურია შეტევისკენ სწრაფვა. თუმცა კლუბი ყველა რგოლში შეკრული უნდა იყოს და მზადმყოფი როგორც თავდასხმისთვის, ასევე დაცვისთვის.

**— ახალი სეზონისგან რას ელით?**

— გამოცდილების მომატებას. „ლიონში" ჩემით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უფრო უნდა დავხვეწილიყავი. ვფიქრობ, ესპანური ფეხბურთი ამის შესაძლებლობას მომცემს. ჩემი მიზანია, „ბარსელონაში" ბრწყინვალე სეზონები გავატარო და ტიტულები მოვიგო.

**— ბევრი ტიტული მოგიგიათ, მაგრამ არა ჩემპიონთა ლიგა. უფრო მისი მოგება გინდათ თუ პრიმერადივიზიონის?**

— „ლიონში" პრიორიტეტი ყოველთვის ეროვნული ჩემპიონატი იყო. სხვა ტურნირებზე ერთი მიზანი გვქონდა — რაც შეიძლება, შორს წავსულიყავით. „ბარსელონაში" ასე არ არის. ამ კლუბის პოტენციალის შესაბამისად, ამოცანა ყველა ტურნირის მოგებაა.

**— ფრანკ რაიკარდზე რას იტყვით?**

— მწვრთნელთან ცალკე ჯერ არ მილაპარაკია. ამჟამად „ბარსელონას" ტაქტიკურ სქემებს ვსწავლობ და ესპანური ფეხბურთის სტილს ვეგუები.

**— თქვენგან შეტევაში ჩართვებსაც ელიან...**

— „ლიონში" ხშირად ვერთვებოდი შეტევაში, მაგრამ დაცვა არასდროს მავიწყდებოდა. ერთია შეტევაში ზოგჯერ წახვიდე და მეორე, სისტემატურად აკეთებდე ამას. ვფიქრობ, „ბარსელონაში" ძირითადად დაცვაზე მომიწევს კონცენტრაცია, შემტევი მოთამაშეები სხვებიც ბევრი გვყავს.

**— „ბარსელონაში" თქვენი პირველი ვარჯიშისას რონალდინიოს წინააღმდეგ იუხეშეთ და ეტოომ ეს შენიშნა: „ცოცხლად, ვითამაშოთ, ვითამაშოთ!"**

— მერე რა? მართლაც ასე იყო. ვიცი, რომ თანაგუნდელებს ტრავმა არ უნდა მივაყენო, მაგრამ უნდა ვივარჯიშოთ ისე, თითქოს ეს ოფიციალური მატჩი იყოს. ასე მატჩებისთვის უკეთ მოვემზადებით. ბოლოს და ბოლოს, რონალდინიო იმ ეპიზოდში არ დაშავებულა. ასე არ არის?

**— როგორც ჩანს, თქვენ კარგად ხართ მიჩვეული ბრწყინვალე ფეხბურთელების გვერდით თამაშს საფრანგეთის ნაკრებში...**

— აქ ცოტა სხვა ვითარებაა. საფრანგეთის ნაკრებში ყველანი ფრანგები ვართ, „ბარსაში" კი სხვადასხვა ქვეყნების ვარსკვლავები არიან შეკრებილნი და საჭიროა, ერთმანეთს კარგად მივეჩვიოთ. თუ შევთამაშდით, ტიტულების მოგება გაგვიადვილდება.



## მეშახტე კასტილიო

**დონეცკის** „შახტარმა" „ოლიმპიაკოსიდან" მექსიკელი ნახევარმცველი ნერი კასტილიო 20 მილიონ ევროდ იყიდა. პირეოსული კლუბის ისტორიაში ეს ყველაზე მსხვილი ტრანსფერია. 23 წლის მექსიკელმა „კოპა ამერიკაზე" ფინტებით და გოლებით დაამახსოვრა თავი ქომაგებს. „შახტარმა" კასტილიოს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„იმდენად სერიოზული თანხა შემოგვთავაზეს, რომ უარს ვერ ვიტყოდით. ნებისმიერ ფეხბურთელს თავისი ფასი აქვს და ადრე თუ გვიან გაიყიდება. „ოლიმპიაკოსი" „რეალი" ან „მანჩესტერი" არაა, რომ სატელევიზიო ტრანსლაციებიდან მილიონები მიიღოს, ამიტომაც დავთანხმდით „შახტარს" 20 მილიონ ევროზე" — თქვა ბერძნული კლუბის სპორტულმა დირექტორმა ილია ივიჩმა.

მექსიკურ სან ლუის პოტოსში დაბადებულმა კასტილიომ პროფესიული კარიერა 16 წლისამ დაიწყო „დანუბიოში". 2000 წლიდან „ოლიმპიაკოსშია" და 105 მატჩში 30 გოლი გაიტანა, პირეოსულ გუნდში ოთხჯერ გახდა საბერძნეთის ჩემპიონი, ორჯერ თასი მოიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია. გასულ სეზონში ჯგუფურ ეტაპზე 3 გოლი შეაგდო, მათ შორის ერთი „შახტარის" კარში.

კასტილიოს დებიუტი მექსიკის ნაკრებში ამ წლის 2 ივნისს შედგა. მას საბერძნეთის მოქალაქეობას სთავაზობდნენ, მაგრამ იუარა. 10 სანაკრებო შეხვედრაში ხუთის გატანა მოასწრო. „შახტარში" იგი ფრანსელინო მატუზალემს შეცვლის, რომელიც „სარაგოსაში" გადავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბრაზილიამ ფიფაში მსოფლიო შეიტანა

**ბრაზილიამ** ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ფიფაში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე.

„ჩვენ წარმოვადგენთ 180 მილიონ ბრაზილიელს და 100 პროცენტით დარწმუნებულნი ვართ, რომ უდიდესი საფეხბურთო ტურნირის უმაღლეს დონეზე ორგანიზება შეგვიძლია" — თქვა რომარიომ, რომელიც ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში ჩასული დელეგაციის წევრია.

დელეგაციაში არიან: ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რუი როდრიგესი, რომლის ინიციატივაცაა ჩემპიონატის მასპინძლობა და საქვეყნოდ ცნობილი მწერალი პაულო კოელიო.

რიკარდო ტეიშეირამ ერთსაათიანი პრეზენტაციას 900-გვერდიანი პროექტი წარუდგინა ფიფას. შერჩეულია 18 ქალაქი, რომელთაგანაც რვას ან თორმეტს დატოვებენ საბოლოოდ. განაცხადი კი შეტანილია და ბრაზილია ერთადერთი კანდიდატია, მაგრამ ფიფას პასუხი 30 სექტემბერს იქნება. ჯერჯერობით უცნობია, თუ დაახლოებით რამდენი დაუჯდებათ მასპინძლობა. ტეიშეირას ბიუჯეტზე ჰკითხეს და პირში ყავა ჩაიგუბა.

ბრაზილიაში 1950 წელს გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი და მასპინძლები დრამატულ ფინალში ურუგვაისთან დამარცხდნენ.

ფიფას პროექტის „გოლის" დირექტორი უგო სალსედო აგვისტოში ჩავა ბრაზილიაში და იქაურობას დაათვალიერებს და შეისწავლის.

**ვაჟა ხუციშვილი**




რუი როდრიგესი, რომარიო, პაულო კოელიო, რიკარდო ტეიშეირა და იოზეფ ბლატერი

AFP

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 1 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.20 | 5.15 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.39 |
| 18:00 | 2 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2.80 | 3.00 | 2.20 | 1.44 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 3 | გრეტნა-ფოლკირკი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 4 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 5 | ინვერნესი-რეინჯერსი | 6.20 | 3.70 | 1.45 | 2.31 | 1.17 | 1.04 |
| 18:00 | 6 | სტ.მირენი-მოზერუელი | 2.30 | 3.15 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.45 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 32 | ალტახი-რაპიდი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:10 | 75 | სტრასბური-მარსელი | 3.40 | 2.75 | 2.15 | 1.52 | 1.31 | 1.20 |
| 22:00 | 76 | ბორდო-ლანსი | 2.20 | 2.75 | 3.30 | 1.22 | 1.32 | 1.50 |
| 22:00 | 77 | კაენი-ნიცა | 2.30 | 2.75 | 3.10 | 1.25 | 1.32 | 1.45 |
| 22:00 | 78 | ლილი-ლორიანი | 1.70 | 3.15 | 4.70 | 1.10 | 1.24 | 1.88 |
| 22:00 | 79 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| 22:00 | 80 | პსჟ-სოშო | 1.70 | 3.15 | 4.70 | 1.10 | 1.24 | 1.88 |
| 22:00 | 82 | ვალენსიენი-ტულუზი | 2.50 | 2.70 | 2.80 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| | | 5 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 83 | ლე მანი-მეცი | 2.00 | 2.80 | 3.70 | 1.16 | 1.29 | 1.59 |
| 23:00 | 84 | ლიონი-ოსერი | 1.35 | 3.75 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.55 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 105 | ხიმკი-რუბინი | 2.30 | 2.60 | 3.20 | 1.22 | 1.33 | 1.43 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 121 | ბოჰემიანსი 1905-ბანიკი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 19:00 | 122 | ბრნო-ზლინი | 1.50 | 3.65 | 5.40 | 1.06 | 1.17 | 2.17 |
| 19:00 | 123 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2.20 | 3.05 | 3.00 | 1.27 | 1.26 | 1.51 |
| 19:00 | 124 | იაბლონეცი-სლავია | 3.10 | 2.90 | 2.20 | 1.49 | 1.28 | 1.25 |
| 19:00 | 125 | კლადნო-ტეპლიცე | 3.55 | 3.00 | 2.00 | 1.62 | 1.27 | 1.20 |
| 19:00 | 126 | ბოლესლავი-ზნოჯმო | 1.50 | 3.55 | 5.40 | 1.05 | 1.17 | 2.14 |
| 19:00 | 127 | მოსტი-პლზენი | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 19:00 | 128 | სპარტა-ლიბერეცი | 1.50 | 3.55 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.07 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 147 | რანდერსი-ოლბორგი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 180 | ჰამარბი-მალმიო | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 14:30 | 214 | ურავა-პიროსიმა | 1.30 | 4.00 | 6.70 | 1.00 | 1.08 | 2.50 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 242 | გოიასი-პარანა | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 23:45 | 243 | ნაუტიკო-ფლუმინენსე | 2.70 | 3.15 | 2.35 | 1.45 | 1.25 | 1.34 |
| 23:45 | 244 | ბოტაფოგო-ამერიკა | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:45 | 245 | პალმეირასი-სპორტ რისაიფი | 1.40 | 3.70 | 6.20 | 1.01 | 1.14 | 2.31 |
| 23:45 | 246 | ატლეტიკო მნ-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 247 | ატლეტიკო პრ-კორინთიანსი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 248 | ინტერნასიონალი-ვასკუ და გამა | 1.75 | 3.25 | 3.90 | 1.13 | 1.20 | 1.77 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 249 | ფიგეირენსე-გრემიო | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 251 | სან პაულუ-ჟუვენტუდე | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 428 | ასტანა-რუსენბორგი | 3.40 | 3.10 | 1.80 | 1.62 | 1.17 | 1.13 |
| 20:00 | 429 | ვენტსპილსი-ზალცბურგი | 3.90 | 3.15 | 1.75 | 1.74 | 1.20 | 1.12 |
| 22:00 | 430 | ჟილინა-სლავია | 2.60 | 2.80 | 2.40 | 1.34 | 1.24 | 1.29 |
| 22:00 | 431 | ბეშიქთაში-შერიფ ტირასპოლი | 1.10 | 6.10 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.15 |
| 22:15 | 432 | დომჟალე-დინამო ზ | 3.00 | 3.15 | 2.05 | 1.53 | 1.21 | 1.24 |
| 22:15 | 433 | ცრვენა ზვეზდა-ტალინი | 1.15 | 5.50 | 10.50 | 1.00 | 1.03 | 3.60 |
| 22:30 | 434 | ჰაფნარფიორდური-ბატე | 2.25 | 3.00 | 2.80 | 1.28 | 1.24 | 1.44 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 17:30 | 273 | ალმა ატა-ზლატე მორავცე | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:30 | 274 | ტეუტა-სლავენი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 19:00 | 275 | ეკრანასი-ბ 36 ტორშავნი | 1.12 | 6.50 | 13.50 | 1.00 | 1.03 | 4.38 |
| 19:00 | 276 | სუდუვა-დანგანონი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 19:30 | 278 | დინამო მინსკი-სკონტო | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 279 | პაკა-რილი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 20:00 | 280 | ჰიბერნიანსი პაოლა-ვოივოდინა | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 18:00 | 281 | მიკა აშტარაკი-მტკ | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 20:00 | 282 | ნეფჩი ბაქო-რიდი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 20:00 | 283 | ზიმბრუ-არტმედია ბრ | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| 20:30 | 284 | დინამო ბრესტი-მეტალურგსი ლ | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 20:30 | 285 | ეტცელა-ჰელსინკი | 5.70 | 3.90 | 1.45 | 2.31 | 1.15 | 1.05 |
| 20:30 | 286 | მაკაბი თა-სანტა კოლომა | 1.03 | 10.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 21:00 | 287 | ანორთოსისი-ვარდარი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 21:00 | 289 | მიდტიულანდი-კეფლავიკი | 1.20 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.17 |
| 21:00 | 290 | ოდენსე-სტ.პატრიკსი ატლ | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 21:00 | 291 | ვოლერენგა-ფლორა | 1.22 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.33 |
| 21:30 | 292 | ლიტექსი ლ-სლიემა | 1.04 | 9.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.88 |
| 21:30 | 293 | მატერსბურგი-აკტობე | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:30 | 294 | იანგ ბოიზი-ბანანცი | 1.12 | 6.50 | 13.50 | 1.00 | 1.03 | 4.38 |
| 22:00 | 296 | სტრიმური-მიუპა | 5.90 | 4.20 | 1.40 | 2.45 | 1.13 | 1.04 |
| 22:00 | 297 | კოპერი-შიროკი ბრიეგი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 22:00 | 298 | რაბოტნიჩკი-გორიცა | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:15 | 299 | პაიდუკი-ბუდუჩნოსტი პოდ | 1.25 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.14 |
| 22:30 | 300 | ბესა-ბეზანია | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 22:30 | 301 | ჰონვედი-ნისტრუ | 1.35 | 4.20 | 7.20 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 22:30 | 303 | რუდარი პ-ომონია | 3.50 | 3.00 | 2.00 | 1.61 | 1.27 | 1.20 |
| 22:45 | 304 | დროგედა-ლიბერტასი | 1.10 | 7.00 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.66 |
| 22:45 | 305 | გროცლინი-მკტ არაზი | 1.15 | 6.00 | 11.50 | 1.00 | 1.04 | 3.94 |
| 22:45 | 306 | რეიკიავიკი-ჰეკენი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 23:00 | 344 | გალვეი-სანდერლენდი | 7.00 | 4.25 | 1.35 | 2.64 | 1.13 | 1.02 |
| 23:00 | 345 | მანჩესტერი-ინტერი | 1.80 | 3.25 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.73 |

## I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10180 ჰამარბი-მალმიო | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11180 ჰამარბი-მალმიო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

------------------------------------------------------------ ნაკ. ----- მეტ.

12180 ჰამარბი-მალმიო ------------------- 1.80 ---- 1.80

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(ფრის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაგეთვლებათ წაგებულად)

14180 ჰამარბი-მალმიო ------------------- 1.80 ---- 2.00

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15180 ჰამარბი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16180 ჰამარბი-მალმიო ------------------- 1.58 ---- 2.10

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

17180 ჰამარბი-მალმიო ------------------- 1.85 ---- 1.95

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ვლადიმერის ვლადივოსტოკი

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა იტალიური „სიენადან" რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეში" გადავიდა. ის, რაც წინა სეზონში ვერ მოახერხეს ვლადივოსტოკელებმა, ახლა აისრულეს — საქართველოს ეროვნული გუნდის მოთამაშე შეიმატეს. გეხსომებათ, პრიმორიელებმა გასულ გაზაფხულს ნიკა ცქიტიშვილი შეიგულეს და მას სიტყვიერადაც გაურიგდნენ, თუმც „ცქიტომ" კლუბში ჩასვლა რუსეთ-საქართველოს არეული პოლიტიკური ამინდის გამო ვერ მოახერხა. ელემენტარულად, ვიზა არ მისცეს. ბოისაც სიტყვიერადაა სპარტაკელებთან გარიგებული და კონტრაქტს მას შემდეგ გააფორმებს, რაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის. შუაგულ ევროპიდან რუსეთის ბოლოში, იტალიის ჩემპიონიდან რუსეთის რიგით გუნდში... რატომ, რისთვის — ასეთი კითხვები, ცხადია, ბევრს გაუჩნდება და მათზე პასუხებს ამ ინტერვიუში ამოიკითხავს. ბოისას სლოვენიაში რომ შევეხმიანეთ, ახალ კლუბთან ერთად სანაკრებო ამბებიც გამოვკითხეთ, ის ხომ ჯერ არ შეერთებია კენ შილდსის 2 კვირის წინ შეკრებილ გუნდს...

## რუსეთში წასულმა ფორვარდმა სანაკრებო შვებულება აიღო



— არ ვიცი, რამდენად მოსალოცია „სიენადან" პრიმორიეს „სპარტაკში" გადასვლა, მაგრამ მაინც გილოცავ...

— პირადად ჩემთვის მოსალოცია, რადგან მე არ განვეკუთვნები იმ ხალხის კატეგორიას, რომლებიც ბოლო კლუბიდან შედარებით სუსტში გადასვლას უკადრისობენ. ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც უცნაურია, იტალიის ჩემპიონიდან რუსეთის საშუალო კლუბში წასვლა, თანაც ლამის იაპონიასთან მდებარე ქალაქ ვლადივოსტოკის გუნდში, მაგრამ იყო საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა.

— **მაინც რა?**

— დავიწყებ იმით, რომ „სპარტაკი" რეალურად მოსკოვური გუნდია. რუსეთის დედაქალაქშია დაბანაკებული და პრიმორიეში ახალ წლამდე მხოლოდ ოქტომბერში ითამაშებს. ასევე ერთი თვე ითამაშებენ შინ მეორე წრეშიც. რუსეთის ჩემპიონატის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ პრიმორიელები შინაურ მატჩებს მიყოლებით გამართავენ, ისევე როგორც გასვლით შეხვედრებს, ხოლო დასვენების პერიოდში მოსკოვში მოემზადებიან. რა მიხვედრა უნდა, რომ ეს პრიმორიეს სიშორის გამოა გაკეთებული.

— **ანუ შენ ფაქტობრივად მოსკოვში მიდიხარ...**

— თავისთავად. უკვე მოლაპარაკებულები ვართ ყველა პირობაზე და ბინას მოსკოვში მომცემენ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რუსულ კლუბში რომ გადავედი, სწორედ პირობები იყო. შედარებისთვის გეტყვი, რომ ჩემი მსურველი ყველაზე ძლიერი კლუბი რა თანხასაც მპირდებოდა, იმაზე სამჯერ მეტს მიხდის „სპარტაკი".

— **სხვა რომელი კლუბი გეპატიჟებოდა?**

— სხვათა შორის, გორდონ ჰერბერტის „არისი", რომელიც ევროლიგაში თამაშობს. თავისუფლად შემეძლო საბერძნეთში წასვლა, მაგრამ პრიმორიელებმა ისეთი პირობები შემომთავაზეს, ვიფიქრე განდგას, წავალ რუსეთში ერთი წელი და თუ არ მომეწონება, ისევ ევროპაში დავბრუნდები-მეთქი. ისიც აღსანიშნავია, რომ „სპარტაკის" ხელმძღვანელებმა წმინდა ადამიანურადაც გამიგეს. აგვისტოში ჩემი მეუღლე შვილს ელოდება და ყველანაირი შეღავათის გაწევას დამპირდნენ. უკვე ველაპარაკე პრიმორიელთა მთავარ მწვრთნელ სერგეი ბაბკოვს, რომელმაც მითხრა, შვილი რომ შეგეძინება, ერთი კვირა ვარჯიშებზე არ მოხვიდეო. თანაც მთელ სეზონში ასალები ხელფასის 30 პროცენტს კონტრაქტის გაფორმებისთანავე წინასწარ მაძლევენ, რაც ჩემი ოჯახისთვის ძალიან დიდი შეღავათია. ერთი სიტყვით, რუსებმა იდეალური პირობები შემიქმნეს, რასაც ალბათ ვერც ერთი ევროპული კლუბი ვერ გამიკეთებდა. ძნელი იყო ამაზე უარის თქმა.

— **ახლა რას აპირებ, როდის მიდიხარ ახალ გუნდში?**

— 8 აგვისტოს ჩავალ მოსკოვში, სამედიცინო შემოწმებას გავივლი და კონტრაქტსაც გავაფორმებ. მერე ისევ სლოვენიაში დავბრუნდები მეუღლესთან, რომელიც სწორედ აგვისტოს შუა რიცხვებში ელოდება ბავშვს.

— **საქართველოს ნაკრები?**

— ველაპარაკე ნაკრების მწვრთნელსაც და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც. არც კენ შილდსი და არც ბესიკ ლიპარტელიანი არ არიან წინააღმდეგნი, რომ მე ჩემს მეუღლესთან ვიყო. არც შეიძლებოდა, მათ ჩემთვის არ გაეგოთ, მე ხომ 7 წელია, ერთი მატჩიც არ გამომიტოვებია ნაკრებში, ყოველთვის ხალისით მოვდიოდი და მთელ ძალს ვაქსოვდი თამაშში. ასე იქნება მომავალშიც, სანამ კარიერას არ დავასრულებ, მაგრამ ახლა, როცა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია, ოჯახს ვერ მოვწყდები. აქვე დანვე ვიტყვი, რომ მე არ ვაპირებ საქართველოს ნაკრების საწყის ორ მატჩზე — ლუქსემბურგთან და ავსტრიასთან, მაგრამ თუ ჩემი შვილი 17 აგვისტომდე დაიბადება, შესაძლებელია, დარჩენილ მატჩებში ვითამაშო. ეს საკითხი უკვე ჩვენს ფედერაციასა და „სპარტაკ-პრიმორიეს" შორის უნდა გადაწყდეს. არ მგონია, რუსები წინააღმდეგნი იყვნენ. მთავარია, ოჯახურმა საქმეებმა არ შემიშალოს ხელი.

— **დაბოლოს, ისევ „სპარტაკზე" გკითხავ. რა ამბიციით მიდიხარ ამ გუნდში? „სიენაში" ბოლოს ცოტას გათამაშებდნენ და ალბათ მოგენატრა მოედანზე ყოფნა და გუნდის წინამძღოლობა.**

— „სიენადან" ჩემი წამოსვლა სეზონის დასრულებამდე იყო გადაწყვეტილი და ასეთ დროს ხშირად ხდება, რომ მწვრთნელი თამაშის არ აძლევს ხოლმე წამსვლელ კალათბურთელს. „სიენას" თავგადასავალი პრიმიჯანიც ასე იქცეოდა და, მიუხედავად ჩემი იდეალური სათამაშო ფორმისა, მოედანზე თითქმის არ გავყავდი. „სპარტაკში", რა თქმა უნდა, მოედანზე ვიქნები და ჩემი აზრით, არც შედეგები თამაშში უნდა გამიჭირდეს. ვლადივოსტოკელები გასულ ჩემპიონატში მეექვსეზე გავიდნენ, რაც რუსული სუპერლიგის დონის გათვალისწინებით ურიგო შედეგი ნამდვილად არაა. შემადგენლობა ახლა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ხელმძღვანელობა ოთხეულში შესვლას ვარაუდობს, რისთვისაც წარმოუდგენელი პრემიები დააწესა. ნახევარფინალში რომ გავიდეთ, მხოლოდ ამაში აგილებ იმენ თანხას, რასაც „ლოტომატიკში" ყოფნისას მთელ სეზონში ვიღებდი. „სპარტაკი" უცხოების თასზე ითამაშებს და ესეც დამატებითი სტიმულია. ერთი სიტყვით, სულ არ ვნანობ, სათამაშოდ პრიმორიეს გუნდში რომ წავედი. პირიქით, მგონია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**ირაკლი ბერტაია**

# გარნეტი კელტია

## მინესოტამ ტოტია მგელი მოიშორა

**სეზონის** დასრულებისთანავე რომ დაიწყო, გუშინწინდელამდე გრძელდებოდა იმაზე მარჩიელობა, თუ სად გადავიდოდა „მინესოტაზე" გულაცრუილი კევინ გარნეტი. ბოლო ხანებში ამერიკულთან ერთად კალათბურთის მოყვარული სხვა ქვეყნების პრესა მისი შესაძლო ტრანსფერზე ლაპარაკის წილუკა სახელდებოდა სამიოდ კლუბი, მაგრამ სატრანსფერო გარიგების შემადგენელ მოთამაშეებს, იცოცხლეთ, თვალს არ პ ქონდა. საბოლოოდ ყველას „ბოსტონმა" აჯობა, რომელსაც მინესოტელებთან შეთანხმება ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ ეს მხოლოდ დროის ამბავია.

მაშ ასე, ერთი კევინ გარნეტის სანაცვლოდ „ბოსტონიდან" „მინესოტაში" ერთბაშად 4 მოთამაშე და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში არჩევნის უფლება მიდის. „კელტების" იმედისმომცემი თავდამსხმელი ალ ჯეფერსონი, დაფარებების ოდინდელი მეფე თეო რეთლიფი, სებასტიან ტელფერი და ჯერალდ გრინი მომავალი სეზონიდან მინეაპოლისურ გუნდში ითამაშებენ, გარნეტი კი ბოსტონელთა გვარიანად გაძლიერებულ ხუთეულს „მგლურ" ძალას შემატებს.

ნბა-ს ყველაზე ტიტულიანი გუნდი ბოლო წლებში ძალიან დაჩაჩანაკდა. ერთ დროს უძლეველი „ბოსტონი" ყველას სათრევი გახდა და კლუბის ბოსებმაც ჯიბეზე ხელი გაიკრეს — ლიგის ვარსკვლავებს აეკიდნენ და ორი მათგანი „სელტიქსში" თამაშზე დაითანხმეს.

ზედ დრაფტის სადამოს „ბოსტონმა" ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა — „სიეტლიდან" გადაიყვანა ხანში შესული, თუმც საუკეთესო ფორმაში მყოფი რეი ალენი, რომელიც „ზებგერითებში" გასულ სეზონში 26,4 ქულას აგროვებდა საშუალოდ და ეს მისი კარიერის რეკორდია. ალენის სანაცვლოდ ბოსტონელებმა „სიეტლს" დელონტა ვესტი, ვალი შჩერბიაკი, წლევანდელი დრაფტზე მე-5 ნომრად აყვანილი ჯეფ გრინი და მომავალი წლის დრაფტის 35-ე არჩევნის უფლება დაუთმეს.

„ბოსტონს" აქამდეც ჰყავდა ერთი ვარსკვლავი პოლ პირსი, რომელიც დამშეულივით კი იხვეჭდა ქულებს, მაგრამ „კელტები" მარტო მისი მარიფათით ვერ ხეირობდნენ. ახლა კი ტრიო შეიკრა — პირსს გვერდზე ამოუდგნენ რეი ალენი და კევინ გარნეტი, რაც „ბოსტონს" აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი ხუთეულის გუნდად აქცევს.

უსიმბოლოდ დარჩენილ „მინესოტაში" კი პოსტგარნეტეული ერა იწყება. „ტიმბერვულვზის" მთელი რესურსები გარნეტის გრანდიოზულ ხელფასზე მიდიოდა და გუნდმა ეს მძიმე ტვირთი შვებით ჩამოიხსნა.

**ირაკლი ბერტაია**



მერიის თასი. თბილისი. 31 ივლისი-5 აგვისტო. ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$

# გუშინ იან ჰომერზე გიორგობა იყო

## ჭანტურია-ხრიკაძეს მერიამ კოკა-კოლა დაავიწყა

პირველი წრე

გიორგი ხრიკაძე (საქართველო) — ნიკოლოზ ქურდაძე (საქართველო 6:2 6:1
ჯეიმს კლუსკი (ირლანდია) — მიხაილ ლიფშიცი (რუსეთი) 7:5 6:7(4) 6:3
სირუმ აბდულხალიკოვი (6, ყაზახეთი) — მეტ სიმპსონი (ახ. ზელანდია) 6:2 3:6 6:3
გიორგი ჭანტურია (საქართველო) — გაი კუბი (ისრაელი) 6:0 6:7 (7) 7:6(6)
დანიელ ლუსტიგი (8, ჩეხეთი) — ტომას იანცი (სლოვაკეთი) 6:2 6:3
ვლადისლავ ბონდარენკო (5, უკრაინა) — რევაზ ოსაძე (საქართველო) 6:2 6:2


გიორგი ჭანტურია

თბილისის „მერიის თასი" ქართველმა ჩოგბურთელებმა აშკარად უკეთ დაიწყეს, ვიდრე კვირის წინანდელი „კოკა-კოლას" თასი. მაშინ მეორე წრეში მხოლოდ ლადო ჩიხლაძე გავიდა. ახლა კი ამას სამი მასპინძელი ახერხებს. ძირითადი ბადის თამაშები გუშინ დაიწყო და პირველი წრე სანახევროდაც ვერ ჩათამაშდა. თექვსმეტიდან მხოლოდ ექვსი შეხვედრა ჩატარდა.

ცენტრალურ კორტზე პირველები გიორგი ჭანტურია და ებრაელი გაი კუბი გავიდნენ. რეიტინგის და გამოცდილების მხრივ უპირატესობა სტუმარს უნდა ჰქონოდა, მაგრამ შეხვედრა დაიწყო თუ არა, გიორგიმ ისეთ დღეში ჩააგდო მეტოქე; თითქოს პატარა ბავშვს ეთამაშებოდა. პირველ სეტში ებრაელმა ერთი გეიმიც ვერ მოიგო. მეორეს დასაწყისში ოდნავ გამოცოცხლდა, თუმცა ისე ვერა, რომ მეტოქისთვის დიდი წინააღმდეგობა გაეწია — 2:5 ჩამორჩა. გიორგის მიზანს ერთი ქულაღა აშორებდა. ამ დროს სეტის შეტრიალებაზე აღარავინ ფიქრობდა და ტრიბუნებს მომდევნო წყვილის გულშემატკივრებიც შემოემატნენ, მაგრამ, მოულოდნელად, თამაშის სცენარი მთლიანად შეიცვალა და კიდევ ორი საათით გაიწელა. კუბმა ჯერ გეიმების ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ტაიბრეიკით — სეტებისაც.

გადამწყვეტი სეტი სანახაობრივად დიდი ვერაფერი, თუმც ძალიან დაძაბული კი გამოდგა. თამაში ქულაქულაზე მიდიოდა. ამასთან ჩოგბურთელებმა სამ-სამჯერ ერთმანეთის მოწოდებებზე იხეირეს. საქმე ისევ ტაიბრეიკამდე მივიდა, ოღონდ იქამდე ებრაელმა ერთი მატჩბოლის განიავება მოასწრო.


გიორგი ხრიკაძე

გიორგიმ ტაიბრეიკიც ისეთივე შემართებით დაიწყო, როგორც პირველი სეტი. ზედიზედ სამი ქულა მიითვალა, მაგრამ იქვე მიჯრით ოთხი დაკარგა და საქმე გაირთულა. ფსიქოლოგიური უპირატესობა ვერც სტუმარმა შეირგო და ისევ ჩამორჩა. მეორე წრეში გამსვლელი დარტყმა ჭანტურიამ 7:6-ზე შეასრულა და საათნახევარში მოსათავებელი თამაში სამ საათსა და ორმოც წუთში მაინც სათავისოდ დაასრულა.

მეორე შეხვედრამ სულ რაღაც ერთ საათს გასტანა. წყვილი ქართული იყო. გიორგი ხრიკაძემ ნიკოლოზ ქურდაძეს ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. სავარაუდოდ, ხვალ მას ტურნირის პირველი ნომრის, ხორვატი ივან ცეროვიჩის პირისპირ მოუწევს დადგომა. სავარაუდოდ იმიტომ, რომ ცეროვიჩს ჯერ რუსი ალექსეი ფილენკოვი ჰყავს დასამარცხებელი. ეს თამაში დღეს გაიმართება.

გუშინ კორტზე კიდევ ერთი ჩვენებური რევაზ ოსაძეც გავიდა, მაგრამ მეხუთე ნომრად განთესილ უკრაინელთან, ვლადისლავ ბონდარენკოსთან ვერას გახდა — 2:6 2:6.

პირველ წრეში მასპინძლებიდან სათამაშო ლადო ჩიხლაძეს და ჯერალდ ოგანეზოვსლა დარჩათ. „კოკა-კოლას" თასის მომგები ტურნირის მეოთხე ნომერი და ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან შესული ჩოგბურთელი დღეს ერთმანეთს ხვდებიან და ამიტომაც ვთქვით წერილის დასაწყისში, მეორე წრეში გასვლას სამი მასპინძელი მოახერხებსო.

**ოთარ ზაღლაკელიძე**

# მაგარი ვინუსი მაგარსაფარზე

**საჩოგბურთო** სამყაროს ეპიცენტრმა თითქმის მთლიანად ოკეანისგაღმეთში გადაინაცვლა. იქ ჰარდის სეზონი გახურდა და ჩოგბურთელებიც ნელ-ნელა თავს ჩრდილოეთ ამერიკაში იყრიან. თუმცევროპა ამ კვირაში კიდევ ერთხელ გაიბრძოლებს პოლონური სოპოტის ტურნირით, სადაც თიხნარზე თამაშის მოყვარულებიღა თუ ჩავლენ — სხვა თუ არაფერი, ეს მათთვის საყვარელ საფარზე ჩოგნაობის ბოლო შანსია, რადგანაც გრუნტზე მომავალ წლამდე აღარ მოუწევთ თამაში.

პოლონურ გრუნტზე პირველი მოულოდნელობა უკვე მოხდა, როცა მარიანო ზაბალეტამ მეექვსე ნომრად განთესილი ნიკოლას ალმაგრო დაიფრინა. თან არგენტინელმა საამისოდ ორი სეტი იმყოფინა და ახლა კიდევ ერთ ესპანელ, ალბერტ მონტანისეთან მოუწევს დაპირისპირება. აღვნიშნოთ ყოფილ ჩემპიონ ხოსე აკასუსოს მოგებაც, რომელიც ვერნერ ეშჰაუერს ძალიან იოლად გაუმკლავდა — 6:3 6:2.

აშშ-ში კი კაცები ამ კვირაში ვაშინგტონის კორტებზე იჩოგნავებენ. ოღონდ, როგორც წესი, ამნაირ დიდ ტურნირებზე პირველ წრეებში ბობოლებს ასვენებენ ხოლმე და ტრადიცია არც აქ დარღვეულა. თან აშშ-ს დედაქალაქში გაწვიმდა კიდეც და რამდენიმე თამაში ორ დღეზე გაიწელა.

მომხდარიდან კი ტომას იოჰანსონის გამარჯვება გამოვყოთ. 32 წლის ვეტერანმა გაუძლო 2 საათსა და 40 წუთიან დატვირთვას და 19 წლის კოლუმბიელი ჟირარდო სანტიაგო მაინც გატეხა. თუმც შვედი უეჭველად გადაილალა და არნო კლემანთან მაგრად უნდა გაუჭირდეს.

მეორე წრეში არიან რუსებიც — იგორ კუნიცინმა და ევგენი კოროლიოვმა განსხვავებული გზები გაწვლეს წარმატებისკენ. პირველმა თავისზე გამოცდილ სებასტიან გროჟანს რის ვაი-ვაგლახით მოუგო მაშინ, როცა კოროლიოვი ბრაზილიელ რიკარდო მელოსთან ორ სეტში ჩაეტია.

ქალების პაექრობიდან კი ამ კვირაში ყურადღებას სან დიეგოს ტურნირი იპყრობს, სადაც ბლომად ბობოლებმა მოიყარეს თავი. თან პირველ წრეში რამდენიმე მათგანი უკვე საქმეში ვიხილეთ.

ფედერაციის თასის ნახევარფინალში რუსებთან დამარცხების შემდეგ პირველად გავიდა კორტზე ვინუს უილიამსი. ჰოდა, უნდა ითქვას, რომ უფროსი შავდა კვლავაც ფანტასტიკურ ფორმაშია, ისევე მძლავრად გამოიყურება, როგორც ახლახან გასრულებულ უიმბლდონზე, სადაც მან მეოთხედ იჩემპიონა. ვინუსს ამჯერად ანასტასია როდიონოვა შემოებდლვნა — პირველ სეტში 3:3-მდე რუსმა კი იჯახირა, მაგრამ მერე იანკიმ ტანკივით გადაუარა და ზედიზედ 9 გეიმის აღებით საქმე მალევე მოამთავრა.

„ვერ დავიწყე კარგად, ბევრ შეცდომებს ვუშვებდი, მაგრამ მალევე გამოვასწორე თამაში და ისე ავთამაშდი, როგორც მეკადრება. ახლა მართლაც მაგარ ფორმაში ვარ, თან ბოლო თვეებში მოწოდებაც გავაუმჯობესე" — ვინუსმა ძველი თვითდაჯერება კორტზეც დაიბრუნა და მის მიღმაც.



გამოვყოთ ელენა დემენტიევას გამარჯვებაც. ოღონდ ამ რუსის ამბები ხომ იცით — თავის თავს პრობლემები თუ არ შეუქმნა, ისე არ შეუძლია და ახლაც ნატკეპნი გზით იარა, როცა კატალინა კასტანოს მეორე სეტი ჩააბარა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა გონს.

**კახა ლომჯყშვილი**

# სპორტი და ქართული ენა

## „ავჭალურსაც“ ნუ დავივიწყებთ!

**ამ ზაფხულს** ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენის მომსწრენი გავხდით: გამოვიდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეულის) მეორე გამოცემის I ტომი (არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამომცემლობა „უნივერსალი“). 57 წლის შემდეგ ამ უდიდესი ლექსიკოგრაფიული ნაშრომის ახალი რედაქციით გამოქვეყნების წარმატებული დაწყება — მაღალი სპონსორის (საქართველოს საპატრიარქოს ფონდის) მზრუნველობის შესატყვის დონეზე — ნამდვილად სასიკეთო ნიშანსვეტია ერის მწიგნობრობისთვის. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ექნება მას სპორტული ლიტერატურის, მასმედიის ენის განვითარებისთვის — ახალი ცნებების ქართულად გადმოცემის, უკვე დამკვიდრებული ტერმინების თვალსაზრისით. იმედია, რედაქციები გაითვალისწინებენ ამ მადლს, თუმცაღა ახლანდელი გამოცემის (I ტომის) ტირაჟი ძველთან შედარებით ერთობ მცირეა. მაგრამ დღეს ხომ სწორედ რეალური მოთხოვნა განაპირობებს გამოსაცემი წიგნის საგულვებელ რაოდენობას.

ვფიქრობ, ზემონათქვამიდანვე გამომდინარეობს, რომ ამთავითვე მართებს მადლიერ მკითხველს უკვე მოცემული მასალის დარგობრივად განხილვა, იმ ზოგიერთ (შეიძლება სულაც სადავო) წვრილმან ხარვეზზე მითითება, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, შეიძლება ახლდეს ასეთი მოცულობის ლექსიკონს. სპორტში, ფიზიკურ აღზრდაში სიტყვას, სწორად შეთვისებულ ტერმინოლოგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რა თქმა უნდა, განმარტებითი ლექსიკონი ვერ გასწევს სახელმძღვანელოს, თუნდაც სპორტული ცნობარის მაგივრობას, მაგრამ ამა თუ იმ სახეობის, ან ცალკეული წესის, ხერხ-ილეთის მოკლე განსაზღვრება ცნობილი ქართველი მწერლების, მეცნიერების, მთარგმნელების, ჟურნალისტების საილუსტრაციო ტექსტის დართვით, შეიძლება მძლავრ სტიმულადაც იქცეს მომავალი პროფესიონალი თუ მოყვარული სპორტსმენისთვის. კაცის ცნობიერებაში სპორტული ტერმინების აქტიური არსებობა თითქოს აქეზებს დამწყებ მოასპარეზეს და, აგრეთვე, მაყურებელსაც ამა თუ იმ ილეთის შესასრულებლად და საყურებლადაც.

ამ მხრივ განსაკუთრებით ქართული ჭიდაობაა საგულისხმო. ამ ეროვნული საგანძურის ხერხებისა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები, მათი ყოველდღიური მოსმენა, განმარტება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო (და, მადლობა ღმერთს, არის კიდეც!), რათა მოჭიდავესა თუ მცოდნე ქომაგსა და მსაჯს ბალღობიდანვე შეეთვისებინა ეს სახეობა, მოასპარეზეს ერთგვარი ფსიქიკური მზაობა, განწყობა აღძვროდა ამ ილეთების შესასრულებლად; ხოლო მაყურებელს, გულშემატკივარს უფრო გამოკვეთილად შეეგრძნო ყოველი ფანდის სილამაზე, მისი სრულყოფილად განხორციელება.

სპორტული ტერმინოლოგიის, როგორც საკუთრივ ქართულის, ასევე შემოსული სიტყვების, ასახვის მხრივ გარკვეული უკმარობის გრძნობა მკითხველს პირველი გამოცემიდანვე დაჰყვა. ეს არცაა გასაკვირი და, მით უმეტეს, ლექსიკონის ავტორთა „ბრალი“. სპორტის ბევრი სახეობის უცხოეთიდან შემოსვლა (სხვადასხვა დროს), ჯერ ქალაქებში დამკვიდრება, არაქართულენოვანი მწვრთნელების ავტორიტეტი, სპორტული თემის სიმწირე პრესაში, სპორტისა და ფიზიკური კულტურის სამთავრობო დაწესებულებებში „მეორე მშობლიური ენის“ პრიმატი და ა.შ. მით უფრო არდასავიწყებელია ცალკეულ სახეობებში (ტანვარჯიში, მთამსვლელობა, კალათბურთი, ჩოგბურთი) ძველი მწვრთნელების, სპორტსმენების დამსახურება.

აქაც ორიოდე მაგალითით დავკმაყოფილდეთ. ლექსიკონის I გამოცემაში არაა საყოველთაოდ, ძველადაც და ახლაც გავრცელებული საფეხბურთო ილეთის აღმნიშვნელი სიტყვა „მაკრატელა“. ასევე სიტყვა „ცერული“ განმარტებულია როგორც საცეკვაო ტერმინი, არადა, იგი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ძირითადი ხერხის აღმნიშვნელია. მიზეზი გასაგებია: ლექსიკონი ძირითადად სალიტერატურო ენის ვითარებას ასახავს. როგორც ჩანს, ეს სიტყვები მწერლობაში არავის ეხმარა, ხოლო სპორტული პრესა მაშინღა იდგამდა ფეხს (ეს ზემოთაც მოგახსენეთ). ერთ მაგალითსაც დავუმატებ: ლექსიკონში „სარმა“ („შუა სარმა“) და „კაური“ („შუაკაური“) სინონიმებია. სპეციალურ ლიტერატურაში კი მათ დამოუკიდებელ ფანდებად მიიჩნევენ. იმედია, ახალი რედაქცია ამ სიტყვებამდე რომ მივა, თანამედროვე მასმედიისა და სხვა მონაცემებსაც გაითვალისწინებს. თუმცაღა ახლანდელ I ტომში ზოგჯერ უცვლელადაა გადმოცემული ძველი სადავო დეფინიციები. მაგალითად, „ანკარა“ განმარტებულია როგორც გველის მსგავსი უშხამო ქვეწარმავალი, არადა, ანკარა, ზოოლოგიური მეცნიერების მიხედვით, გველია! (ოღონდ უშხამო). გველის მსგავსი გველთევზაა (ოღონდ იგი მაინც თევზია!). სხვათა შორის, ენათმეცნიერმა ალექსანდრე კობახიძემ მიუთითა განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში საბუნებისმეტყველო ტერმინების განსაზღვრებათა არაერთგვაროვნებაზე („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეთორმეტე, 2004). მაგრამ ჩვენ, უწყინარი ანკარათი დაშინებულები, კვლავ სპორტს მივუბრუნდეთ.

ახალ გამოცემაში ასევე არსებითად უცვლელადაა გადმოტანილი ძველიდან „ბურთაობ-ს“ და „ბურთაობა“. როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე ბურთი ბევრი თამაშის აუცილებელი კომპონენტია. ამიტომ ამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვების ზოგადი ახსნა — „ბურთს თამაშობს“, „ბურთის თამაში“ ზუსტ განმარტებად ვერ გამოდგება. ამ ტერმინების საილუსტრაციო მასალაშიც სულ სხვადასხვა შინაარსი ძევს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის დამოწმებული ფრაგმენტი („რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? — ჩვენც ყაბახზე ვაჟკაცურად ვჯირითობდით, ვბურთაობდით!“) სწორედ მხედრულ ბურთაობაზე — ცხენბურთის გუნდურ თამაშსა და მის გუნდურ სახეობებზეა ლაპარაკი, ხოლო გ. კაჭახიძის ლექსის ნაწყვეტი XX საუკუნის „საბჭოთა სამოთხის“ ბალღების ბურთით „გართობას“ გულისხმობს (რაიმე კონკრეტული თამაშის მოუაზრებლად),

ილიას ლექსი კი, მისი სარკაზმის მიუხედავად, XIX საუკუნის იმ მხედრულ აღმავლობას გამოხატავს, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და როგორც ევროპიდან შემოსული კლასიკური ცხენოსნობის ელემენტების დამკვიდრებას, ისე ეროვნული სახეობების განვითარებას გულისხმობდა. იმდროინდელი რუსული, აგრეთვე ევროპული პრესა, ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურა, მხატვრული ნამუშევრები ამ მხრივ უდიდეს ინფორმაციას ინახავს.

ეს ცხენოსნურ ბურთაობას (რუსთაველთან — „ბურთობას“) რაც შეეხება; „ავჭალური: კი არც ერთ გამოცემაში არაა. ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი არ არის. მას საზღვრული აღარ სჭირდება. ამ სიტყვით გამოხატული ვარჯიში (თამაში, შექცევა, რაც გნებავთ, ის დაარქვით) II მსოფლიო ომამდე, განსაკუთრებით ომის წლებში (იმ ბეჩაობის დროს) იყო გავრცელებული. ეს გახლდათ „ბურთის“ კენწვლა. ოღონდ ნამდვილ ბურთს კი არ კენწლავდნენ, არამედ ჩვრისგან გამოკერილ პატარა პარკს, რომელშიც კენჭები, უფრო ხშირად კი ლობიოს ან სიმინდის მარცვლები ეყარა. ბიჭების უმრავლესობას ჯიბეში ედო და სკოლაში, შესვენებაზე, ან უბნის სანახშოზე გახურებული კენწლაობა ჩაღდებოდა. კენწლავდნენ ჭვინტით, ტერფის ახმით (ზურგით), ქუსლით. იყვნენ ნამდვილი ვირტუოზებიც.

დღევანდელი ფეხბურთელი ბიჭებისთვის ეს შეიძლება გაუგებარიც იყოს (ყოველ მათგანს საკუთარი ბურთი მიაქვს ვარჯიშზე). მაშინ ასეთი ფუფუნება, მგონი, ოსტატთა გუნდებშიც იშვიათობა იყო. ავჭალასთან რა კავშირი ჰქონდა ამ სიტყვას, ჩემთვის მაშინაც უცნობი იყო და ახლაც ასე დარჩა. შეიძლება ავჭალის მეზობლად, ღრმაღელესა და ნაძალადევში იცოდნენ კიდეც ამ სახელის წარმომავლობის საიდუმლო. ისე კი ეს ტერმინი ქართული ფეხბურთის განვითარების ერთ ძალზე ნაყოფიერ პერიოდს უკავშირდება. ლექსიკონის პირველ გამოცემაში რომ ვერ აისახა, გასაგებია იმ მიზეზის გამო, რომელზეც ზევით მოგახსენეთ. მაგრამ შემდეგ კი ეს სიტყვა მოხვდა ქართულ ლიტერატურაში: იგი გამოჩენილი მწერლის, ბრწყინვალე ლექსიკოგრაფიულ-ესეისტური ნარკვევის ავტორის გიორგი მატბერაშვილის იმ ლექსში დარჩა, რომელიც ხალხის უსაყვარლეს სპორტსმენს ავთანდილ ღოღობერიძეს ეძღვნება. მატბერაშვილების დიდი ოჯახი ქართულ ფეხბურთს მეგობრობდა. გიორგის მომდევნო ძმები ქალაქში ცნობილი მოთამაშეები იყვნენ: რეჟისორი ლევან მატბერაშვილი „დურუჯის“ საფეხბურთო გუნდის კაპიტანი და ცენტრფორვარდი იყო. უმცროსი შოთა უკვე ცნობილი „დინამოს“ მეორე შემადგენლობის მარჯვენა მცველად იდგა...

აი, ორი სტროფიც გიორგი მატბერაშვილის ლექსიდან:

* * *

გაგიჟებამდე მეც ვიყავ ბურთის
ეშხით დამწვარი, ეშხით ჩაგრული,
ახლაც ბევრს ახსოვს არაგვის გუნდი,
ჩემი დრიბლინგი და ავჭალური!

* * *

მისი ძახილი: — გაიჭერ ბასა! —
მხოლოდ შენ გერგო, მხოლოდ შენია,
ბურთი ნაშოვნი სიცოცხლის ფასად
და მოედანიც შენ დაგრჩენია.

ლექსი 1960 წლით თარიღდება. 12 წლის ადრე კი თბილისის „დინამოზე“ სწორედ ბასამ ერევნის „დინამოელთა“ კარში გაიტანა, ცენტრიდან სულ კენწლაობით ავჭალურით წაღებული ბურთი. არაა გამორიცხული, რომ ლექსის სტრიქონები ამ ულამაზესი გოლითაც იყოს შთაგონებული.

მით უმეტეს არ ყოფილა ეს სიტყვა გამოსარჩენი და დასავიწყებელი. იგი ჩვენი ფეხბურთის ისტორიის, მისი ნამდვილი ხალხურობის დროინდელ მონაკვეთს შეგვახსენებს.

**ნოდარ იბრალიძე**

## ველორბოლა




იბან მაიო დოპინგიანთა სიაში ჩაეწერა

# მაოხრებელი მკვდარი

## დაკვირვებული და გაკვირვებული

**პიტერ სინკევიჩი,** ალექსანდრ ვინოკუროვი, კრისტიან მორენი, მიქაელ რასმუსენი და აი, იბან მაიოც — რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსი“ კვირას კი დასრულდა, მაგრამ დოპინგის მოყვარულთათვის მაოხრებელ მკვდარ იქაც და ამ სუპერრბოლაში დოპინგზე ჩავარდნილთა სია ერთი კაცით კიდევ გაიზარდა.

ესპანური „სონი დიუვალის“ მრბოლს დასვენების დღეს, 24 ივლისს აღებულმა ანალიზმა უმტყუნა. მაიოს სისხლში ერითროპოეტინის მომატებული რაოდენობა აღმოჩნდა.

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ირლანდიელმა პრეზიდენტმა პიტერ მაკუეიდმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „მაიო მათ შორის იყო, ვისაც კარგა ხანია ვაკვირდებოდით. ეს „ტურ დე ფრანსის“ კიდევ ერთი სამწუხარო ეპიზოდია. საოცარია — მრბოლებმა იციან, თუ როგორი სიმკაცრით ვებრძვით დოპინგს და მაინც ეტანებიან აკრძალულ პრეპარატებს“.

ამ ინფორმაციის გახმაურებისთანავე „სონი დიუვალმა“ გაწყვიტა კონტრაქტი მაიოსთან, რომელმაც წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე“ ერთი ეტაპი მოიგო, „ტურზეც“ საკმაოდ აქტიური იყო და საერთო ჩათვლაში მე-16 ადგილი დაიკავა.

„სონი დიუვალმა“ თუ იბან მაიოსთან კონტრაქტი მაშინვე გაწყვიტა, რაწამს მრბოლის მიერ აკრძალული პრეპარატების გამოყენების შესახებ შეიტყო, ყაზახურმა „ასტანამ“ ანალოგიური ნაბიჯი ლამის ათდღიანი ფიქრის შემდეგ გადადგა და გუნდის ლიდერს ალექსანდრ ვინოკუროვს კონტრაქტი გაუწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ „ვინო“, ვინც „ტურის“ დაწყებამდე უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, მეხუთე ეტაპზე დაეცა და სერიოზულად დაშავდა. თუმც მაინც გააგრძელა რბოლა და ორი ეტაპიც მოიგო — მე-13, ინდივიდუალური და მე-15, სამთო, თუმცა ამათ შორის მე-14 ეტაპი ჩააგდო და საბოლოო წარმატების იმედი გადაეწურა.

სწორედ ინდივიდუალური რბოლის მოგების შემდეგ აუღეს ვინოკუროვს ის ანალიზი, რომელშიც მომატებული ოდენობით და თანაც სხვადასხვა ტიპის ერითროციტები იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ასტანას“ ლიდერმა სისხლი გადაისხა. „ვინო“, ბუნებრივია მოკვეთეს რბოლიდან და მას მთელი გუნდიც უკან მიჰყვა.

და აი, თითქმის ათი დღის შემდეგ „ასტანამ“ კონტრაქტი გაუწყვიტა 33 წლის მრბოლს. იმის გათვალისწინებით, რომ ვინოკუროვს, სავარაუდოდ, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან, მისი კარიერა დასრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.



# გამოსათხოვარი კახაბერ ზარნაძესთან

გარდაიცვალა ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევისა და აღორძინების მესვეური კახაბერ ზარნაძე.

მკვლევარის იშვიათი ალღოთი დაჯილდოებულმა სრულიად ახალგაზრდა კაცმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, არც თუ უხიფათო პირობებში, დაიწყო ამ დროისათვის შემორჩენილი ცოდნის მოკრება.

ეძებდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ეძებდა ხანდაზმულთა მეხსიერებაში და ეთნოლოგიურ მასალაში.

და არ არსებობდა მისთვის ამ გზაზე დაბრკოლება — არც უსახსრობა, არც მუქარა, არც ქილიკი, არც გულგრილობა...

შედეგად კი პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო - ურთულეს პირობებში მოიძია, შეისწავლა და მოწაფეებს გადასცა-საბაზო ცოდნა ქართული ჭიდაობის, კრივის, იარაღით რკინების არაერთი სახეობის შესახებ.

საოცარი თავმდაბლობით გამორჩეულს არასდროს უზრუნია საკუთარი თავის წარმოჩენაზე. მის მიერ დაფუძნებული "ხრიდოლის" ფედერაციის პრეზიდენტიც კი არასდროს ყოფილა.

ინტერვიუზეც მხოლოდ მაშინ თანხმდებოდა, თუ მეგობრები დაარწმუნებდნენ, რომ საქმისთვის იყო სასარგებლო.

ხუთიოდე წლის წინ კი იარაღის ჭედვის აღორძინებას მიჰყო ხელი და საოცარ შედეგებსაც მიაღწია. რამდენიმე გამოფენის მოწყობაც მოასწრო და აქაც ცდილობდა პირველ პლანზე მოწაფეები წამოეწია. გამოფენის ყველა სტუმარს პირველყოვლის სწორედ მათი ნამუშევრებისკენ მიუძღვებოდა და ამაყად მოუთხრობდა ახალგაზრდების წარმატების შესახებ.

მისი პიროვნული ხიბლი და საქმისადმი ერთგულება საოცარ ზემოქმედებას ახდენდა ირგვლივ მყოფებზე. ისეთი ენთუზიაზმით დამუხტა თანამოაზრენი, რომ წლების განმავლობაში, გათოშილი დარბაზის შიშველ იატაკზე, სანთლის შუქზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ექსპედიციებში მოპოვებული მასალის სისტემატიზაცია, თავიდან იბადებოდა დასავიწყებლად განწირული ილეთები და სახეობები, რომელთა შექმნასა და დახვეწას საუკუნეები მოანდომეს ჩვენმა წინაპარებმა.

თუ კი რაიმე დიდ საქმეს შეიძლება ეწოდოს ერთი კაცის სახელი, ესაა სწორედ ამ საოცარი პიროვნების მიერ გაწეული უანგარო ღვაწლი, რამაც ჩვენს მომავალს შემოუნახა მართლაც საამაყო, უნიკალური ცოდნა, ისეთივე უნიკალური, როგორიცაა ქართული სიმღერა თუ ცეკვა, ხუროთმოძღვრება თუ ანბანი.

და ვინ იცის, კიდევ რამდენ ქართულ საქმეს დააკლდა მისი ნათელი გონება და დაუღალავი მარჯვენა.

დიდი გული ჰქონდა კახას, ყველას გვამყოფინა და, თურმე, თავისთვის ნამცეციც არ დაიტოვა...

სულ ორმოცდაერთი წელი იცოცხლა მან. ჩვენ დავკარგეთ თავდადებული მეგობარი და მასწავლებელი, ხოლო საქართველომ ერთგული, მის სიყვარულში დაფერფლილი შვილი, რომლის დანატოვარის ჯეროვნად შეფასებასაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩვენი თაობა ვერ გასწვდება.

ეს არის დავიწყებას გამოგლეჯილი ქართული საბრძოლო ხელოვნება, ერთ-ერთი უდიდესი საგანძური ჩვენი ერის და მსოფლიო კულტურისა.

**მეგობრების ჯგუფი**

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს კახეთის გუბერნატორს, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს
გია ნაცვლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს
გია ნაცვლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

კრივი

# შენ მოინდომე და თვალების დაჭყეტა ჩვენზე იყოს

## კლიჩკო ლუისს სიტყვიერად შეუთანხმდა

**რინგზე** მობრუნებულმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ კრივს შეიძლება ლენოქს ლუისიც დაუბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ უკრაინელსა და ბრიტანელს შორის არნახულად დაძაბული კონკურენცია იყო რინგზეც და რინგს გარეთაც და მათი ეს დაპირისპირება თითქოს ლოგიკურად არ დასრულებულა — ბევრი თვლის, რომ მათ შორის უძლიერესი მაინც არ გარკვეულა. მოგეხსენებათ, რომ ლას ვეგასში შემდგარი მათი პირველი ჩხუბი ლუისმა მოიგო, მაგრამ ბრიტანელის წარმატებას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, რადგანაც ლენოქსმა ის ჩხუბი ტექნიკური ნოკაუტით მოიგო მას შემდეგ, რაც ექიმმა კლიჩკოს ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცა გახეთქილი წარბისა და ლოყის გამო. არადა, ამ მომენტისთვის სამივე მსაჯის მონაცემებით უკრაინელი იყო წინ.



ყველა მაშინვე მატჩ-რევანშზე ალაპარაკდა და ამას მთელი კრივის სამყარო მოუთმენლად ელოდა, მაგრამ აქ ლუისმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა — არც უკრაინელთან და არც სხვა ვინმესთან დასამტკიცებელი აღარაფერი მქონია და რინგიდან საერთოდ წავიდა.

მაგრამ აგერ, კლიჩკო დაბრუნდა და ლუისმაც გული მოიბრუნა რინგისკენ. ყოველ შემთხვევაში, თავად ვიტალიმ თქვა, ამას წინათ ლენოქსს ველაპარაკე და ეგრე მითხრა, შენ თუ დაბრუნდები, მეც მზად ვარ საჩხუბრადო. ერთადერთი ეგაა, რომ ბრიტანელს პირობა წამოუყენებია — ისეთი ფინანსური წინადადება უნდა შემომთავაზონ, რომ თვალები დავაჭყიტოო. თუმც უკარინელს არც ეს დაბრკოლება აშინებს და ამბობს, თუ საჩემპიონო ქამრის დაბრუნება მოვახერხე და ლუისმაც ჩემთან ჩხუბზე თანხმობა განაცხადა, ამერიკული ტელევიზიები მას ისეთ პირობებს შესთავაზებენ, ეგებ თვალები ველარასოდეს დახუჭოსო.

ხოლო კითხვაზე, რამდენად სჯერა მას ლუისის, კლიჩკომ ასე უპასუხა.

„მე მხოლოდ იმას გადმოგცემთ, რაც მითხრა. ხოლო ის, თუ რამდენად სერიოზული იყო, როცა ამას მეუბნებოდა, მხოლოდ დრო გვიჩვენებს".

**კახა ლომჯყვილი**

ავტორბოლა

# ფერნანდოს ფენომენი

Formula 1

**ესპანელი** სუპერმეფორმულე ფერნანდო ალონსო 26 წლის გახდა. ამ ასაკში პილოტები რამდენიმე რბოლის მოგებას და „სამეფო" ავტოკატეგორიაში საკუთარი პრესტიჟის მეტნაკლებად დამკვიდრებას თუ ახერხებენ. ფერნანდოს ფენომენალურობა კი ის გახლავთ, რომ ასე ახალგაზრდამ უკვე თითქმის ორი ათეული დიდი პრიზი დაისაკუთრა და რაც დაუჯერებელი, თუმც უკვე კარგა ხნის უტყუარი ფაქტია, ორჯერ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონობაც მოასწრო.

23 წლის ალონსო „სამეფო რბოლების" 28-ე და ყველაზე ახალგაზრდა გვირგვინოსანი გახდა. მან თითქმის წელიწადნახევრით გააუმჯობესა ბრაზილიელ ემერსონ ფიტიპალდის ოცდაათწლიანი რეკორდი.

გარდა ამისა, ფერნანდო სადღეისოდ საპირველფორმულო რბოლისა და კვალიფიკაციის ყველაზე ახალგაზრდა მომგებიცაა, ყოველივეს კი ესპანელმა მძღოლმა ფრანგული „რენოთი" მიაღწია. მერე ისე მოხდა, რომ ამ ფანტასტიკური სუპერსაჯინიბოდან შარშან ისერა „მაკლარენ-მერსედესში" გადავიდა, ლამის გასამმაგებული ხელფასისა და იმავდროულად საკმაოდ საეჭვო მორიგი გვირგვინის პერსპექტივით. ალონსოსთვის ეს ახალი საკარიერო გამოწვევა იყო — ახლად აღორძინებული „მაკლარენითაც" შევეცდები გვირგვინის მოგებასო, მაგრამ თავიდანვე გუნება წაუხდა, რადგან ნათელი გახდა, რომ მაკებში პრიორიტეტი ბრიტანელ ლუის ჰემილტონზე ჰქონდათ გადატანილი.

22 წლის შავკანიანმა ინგლისელმაც თანამემამულე ბოს რონ დენისს იმედი არ გაუცრუა და ისეთი გაუგონარი ტემპი აკრიფა, რომ სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა და უზარმაზარი, 14-ქულიანი სხვაობით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ჩემპიონი.

სატიტულო საკითხიც თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ბოლო რბოლაში ჰემილტონის გამოთიშვისა და ალონსოს საკუთარი დაბადების დღის წინ მოულოდნელი გამარჯვების შედეგად მათ შორის ქულათა სხვაობა ლამის მინიმუმამდე, ორამდე შემცირდა და მომავალ კვირას უნგრეთში ახალი ძალით გაგრძელდება.

**გია ახალაძე**

## ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონები

| მრბოლი | ქვეყანა | ტიტული | ზედიზედ | ასაკი |
|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 7 | 5 და 2 | 25 |
| ხუან-მანუელ ფანხიო | არგენტინა | 5 | 4 | 40 |
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 4 | 2 | 30 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 3 | 2 | 33 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 3 | 2 | 28 |
| ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 3 | — | 30 |
| ნიკი ლაუდა | ავსტრია | 3 | — | 26 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 3 | — | 29 |
| ალბერტო ასკარი | იტალია | 2 | 2 | 36 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 2 | 2 | 30 |
| ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | 2 | 2 | 23 |
| გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 2 | — | 33 |
| ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 2 | — | 27 |
| ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 2 | — | 25 |

კიდევ 14 მრბოლი თითოჯერ გახდა უძლიერესი:

იტალიელი ჯუზეპე ფარინა (44 წლის), ბრიტანელები მაიკ ჰოტორნი (28), ჯონ სარტისი (30), ჯეიმს ჰანტი (29), ნაიჯელ მენსელი (39), დეიმონ ჰილი (36), ამერიკელები ფილ ჰილი (34), მარიო ანდრეტი (38), დენი ჰალმი (31, ახალი ზელანდია), იოხენ რინდტი (29, ავსტრია), ჯოდი შექტერი (29, სამხრეთ აფრიკა), ალან ჯოუნსი (34, ავსტრალია), კეკე როსბერგი (34, ფინეთი), ჟაკ ვილნევი (26, კანადა)



# პუმები კლანჭებს ილესავენ

## ჩვენმა მეტოქემ ძველები და ახლები შეკრიბა

**მსოფლიოს** თასზე ქართველი „ლელოების“ მეტოქე არგენტინამ 30-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. „პუმები“ ამ გუნდით შეეცდებიან ევრეთ წოდებული სიკვდილის ჯგუფიდან გაღწევას, სადაც მათი უმთავრესი მეტოქე საფრანგეთი და ირლანდია იქნებიან.

ბოლო ათი წლის განმავლობაში „გაუჩოები“ აშკარა პროგრესს განიცდიან. მათ წელს ბობოლა ევროპული გრანდები დაამარცხეს და მყარად დამკვიდრდნენ ირბ-ს რეიტინგში მეექვსე საფეხურზე თვით მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის წინ! „პუმებს“ ყველა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე უთამაშიათ და თანდათან დიდი გუნდების ძლევილ ამდიდრებენ თავიანთ სარაგბო ისტორიას.

მუნდიალზე გასამგზავრებელი ოცდაათი კაციდან თხუთმეტს ჯერ კიდევ 2003 წლის თასზე თამაშის გამოცდილება აქვს. „პუმებს“ უგამოცდილესი ავგუსტინ პიშო უკაპიტნებს. გუნდში გამორჩეული სახე-სახელები არიან ტყუპი ძმები მანუელ და ფელიპე კონტეპომები, სხარტი მელელოვე ხოსე მარია პიოსეკი, ახალგაზრდა და ნიჭიერი მცველი ხუან ერნანდესი, ექსკაპიტანი მარიო ლედესმა, ბებერი ხარი ომარ ჰასანი და სხვანი. საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის საუკეთესო 30 კაციდან მხოლოდ 6 თამაშობს სამშობლოში. მონაკრებეთა დიდი ნაწილი საფრანგეთის წამყვან კლუბებში ილევწვის, ხოლო ნაწილს ნისლიან ალბიონზე უწევს იქაურ გრანდებში ოვალური ბურთის ტარება.

„პუმები“ მსოფლიოს თასის გახსნით მატჩს გამართავენ მასპინძელ „მამლებთან“. 13 აგვისტომდე „გაუჩოები“ ბუენოს-არესში აგრძელებენ მოსამზადებელ ეტაპს. მათ დამრიგებელ მარიო ლოფრედას არ სურს, გუნდის უპირატესობათა სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ ამხანაგური თამაშების გამართვაზე უარს არ ამბობს: „ჩვენ არ ვაპირებთ მსოფლიოს თასამდე ნამდვილი სახის და პოტენციალის ჩვენებას, მაგრამ გუნდის თამაშის ტაქტიკურ მხარეში რაღაც დეტალები დასაზუსტებელია და ამიტომ ამხანაგურ შეხვედრებს აუცილებლად გავმართავთ.“

**ზურაბ მიგრიაული**

# არგენტინა მსოფლიოს თასზე

**უკანა ხაზი:** **ავგუსტინ პიშო** (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ორასიო აგუილა (ინდუ, არგენტინა), **ფელიპე კონტეპომი** (ლესტერი, ინგლისი), **მანუელ კონტეპომი** (ნიუმანი, ინგლისი), **იგნასიო კორლეტო** (სტად ფრანსე, საფრანგეთი), **ხოსე მარია ნუნიეს პიოსეკი** (ზაიონი, საფრანგეთი), **ნიკოლას ფერნანდეს მირანდა** (ინდუ, არგენტინა), **მარტინ გაიტანი** (ბიარიცი, საფრანგეთი), **ხუან მარტინ ერნანდესი** (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ფედერიკო სერა მირასი (სიკ, არგენტინა), გონსალო პედრო ტიესი (ლონდონ აირიში, ინგლისი), ფედერიკო ტოდესკინი (მონპელიე, საფრანგეთი), ლუკას ბორხესი (სტად ფრანსე, საფრანგეთი)

**შერკინება:** პატრიციო ალბასეტე (ტულუზი, საფრანგეთი), რიმას ალვარეს კაირელისი (პერპინიანი, საფრანგეთი), მარკოს ივან აიერზა (ლესტერი, ინგლისი), **მარტინ ალბერტო დურანდი** (უგუნდო), **კარლოს იგნასიო ფერნანდეს ლობე** (სეილ შარკსი, ინგლისი), ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე (სეილ შარკსი, ინგლისი), სანტიაგო გონსალეს ბონორინო (კაპიტოლინა, არგენტინა), **ომარ ჰასანი** (ტულუზი, საფრანგეთი), **მარიო ლედესმა** (კლერმონ ოვერნი, საფრანგეთი), ხუან მანუელ ლეგუიზამონი (ლონდონ აირიში, ინგლისი), გონსალო მატიას ლონგოელია (კლერმონ ოვერნი, საფრანგეთი), ესტებან ლოსადა (კასი, არგენტინა), ლუკას ოსტილია (აჟენი, საფრანგეთი), **როდრიგო რონჩერო** (სტად ფრანსე, საფრანგეთი), **მარტინ სკელზო** (კლერმონ ოვერნი, საფრანგეთი), მარტინ შუსტერმანი (ლიდსი, ინგლისი), ალბერტო ბასუალდო (ალუმნი, არგენტინა)

**მწვრთნელი:** მარიო ლოფრედა



# სულ ზევით, ზევით...

## ბლანკა ვლაშიჩი 206 სანტიმეტრზე ამაღლდა



**ამ გოგონას** ოსაკაში მხოლოდ გამარჯვება თუ დააკმაყოფილებს. ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი წლეულს შეუდარებელია და დიდი შანსი აქვს, სიმაღლეზე მხტომ პლანეტის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს — შვედ კაისა ბერგკვისტს, ბელგიელ ტია ელებოს, ბულგარელ ვენელინა ვენევას და ყველა სხვას გადაატაროს თავისი აშხვართული ტანი.

ბლანკა ვლასიჩმა ამას წინათ 2,05-მეტრიანი სიმაღლე დაიპყრო და თავისივე სეზონის რეკორდი ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა. ახლა კი წერწეტა ხორვატგოგომ ბერძნულ სალონიკში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით და რიგიან ტურნირზე 2,06-მეტრიანი თამასა აიღო და დანარჩენი გოგოებისთვის კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მას გამარჯვებისთვის 2,02 მეტრიც ჰყოფნიდა.

„მე მსიამოვნებს ხტომა და უდიდეს მუხტს ვიღებ ტურნირებზე ჩემს მსგავს გოგონებთან შეჯიბრისგან — თავმომწონეობს ვლასიჩი — ახლა მართლა გადასარევ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, რომ 2,10 სიმაღლის აღებაც შემიძლია“.

2,10 მეტრი! ეს უკვე მსოფლიოს რეკორდია. უკვე ლამის 20 წელია, 2,09-ის დამპყრობ ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას მსოფლიოში კონკურენტი არ გამოჩენია და აი, ბლანკამ მის რეკორდს დანა მოუღერა. სალონიკში მან 2,06-ის აღების შემდეგ 2,10-ზეც კი გაილაშქრა, კარგადაც, მაგრამ სამივე ცდაზე სულ ოდნავ დააკლდა პლასტიკა. ვინ იცის, იქნებ შორს არაა ის დღე, როდესაც ვლასიჩი კოსტადინოვასაც დაბლა დატოვებს. იქნებ მან ეს ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოახერხოს და თუ მოახერხა, ის საკუთარ თავს მძლეოსნობის დიდების დარბაზში შეუძლვება. თუ რეკორდს ვერ შესწვდა, ხორვატგოგო უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზეც არ იტყვის უარს. ის ხომ ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და ჯერ არც მსოფლიო დაუპყრია და არც ოლიმპიადა. წლეულს კი მან 12 ტურნირში მიიღო მონაწილეობა და აქედან 10-ში დაძლია 2-მეტრიანი გროსმაისტერული ზღვარი.

საინტერესო გამოვიდა ქალთა 100-მეტრიანი სპრინტი. სეზონის რეკორდის მპყრობელმა, იამაიკელმა ვერონიკა კემპბელმა ამ ჯერზე ურეკორდოდ მოიგო — 100 მეტრი 11,04 წამში დაფარა და ორ ამერიკელს — კარმელიტა ჯიტერს და მელისა ბარბერს — შესაბამისად 0,13 და 0,15 წამით აჯობა.

მასპინძლებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ 400 მეტრ თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი კანი ჰალკია ერთი თვის წინ მიღებულ ტრავმას მოიშუშებდა და სალონიკში თავისი გამოსვლით გაახარებდა თანამემამულეებს, მაგრამ ჰალკიაც მაყურებელი იყო ამ ტურნირზე.

ასევე ტრავმის გამო გამოსვლა ვერ შეძლო სიგრძეზე მხტომელმა, სეზონის რეკორდსმენმა ლუის ცატუმისმა. კაცთა სიგრძეზე ხტომა კი სულ რაღაც 8,07-მეტრიანი ნახტომით მოიგო მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა დუაიტ ფილიპსმა.

**კოტე ყორშია**



# ფელპსს სპიცი არ ასვენებს



**თანამედროვეობის** ყველაზე ტიტულოვანი მოცურავე მაიკლ ფელპსი არასდროს მალავდა, რომ ყოველთვის სურდა ლეგენდარული მარკ სპიცის ჯობნა. სპიცი შორეულ 60-70-იან წლებში დაცურავდა და ბუნებრივია, რომ მისი არც ერთი მსოფლიო რეკორდი დღეს უკვე აღარ მოქმედებს, მაგრამ 1972 წელს მან მიუნხენის ოლიმპიადაზე ერთბაშად 7 ოქროს მედალი მოიპოვა და სწორედ ეს მიღწევაა დღემდე ხელუხლებლად შემორჩენილი რეკორდი.

ფელპსი კი არ ისვენებს და ლეგენდარულ თანამემამულეს ამ რეკორდისართმევას უპირებს. ფელპსი მხოლოდ 22 წლისაა და მომავალ წელს პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს ასაკში და ფორმის პიკზე იქნება (ცხადია, თუ არაფერი შეემთხვა). პეკინისთვის ის 8 სახეობაში დაგეგმავს გამოსვლას და რაკი საკუთარი თავის იმედი აქვს, 8-ვეში ოქროს მოგებას მოინდომებს. წინა ოლიმპიადაზე, 2004 წელს ათენში, მან ასევე 8 ოქრო „დაუკვეთა“ საკუთარ თავს. კი აიღო 8 მედალი, მაგრამ აქედან „მხოლოდ“ 6 იყო ოქროსი.

ახლა ფელპსს გადაუწყვეტია თავი ამერიკის შიდა ჩემპიონატზე გამოსცადოს, რომელიც 5 აგვისტოს ნებრასკას შტატში, ქალაქ ომაჰაში დაიწყება. ფელპსმა ამ ტურნირე ერთბაშად 10 ოქროს მოპოვება გადაწყვიტა და თავისთვის ისეთ ძნელ სახეობაში გამოსვლას გეგმავს, როგორიცაა 100 მეტრი გულაღმა ცურვა, სადაც მას მძლავრ რაიან ლოჩტესთან მოუწევს შეჯიბრი, რომელიც ამ სახეობაში მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება.

„ჩვენ ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და ზუსტად გავთვალეთ — ამბობს ფელპსის პირადი მწვრთნელი ბობ ბოუმანი — მას რომ რეალურად არ შეძლებოდა 10 ოქროს მოგება, ამდენს არ გარისკავდა.“ თავისთავად დატვირთვა ძალზე დიდი იქნება და იმედი მაქვს, მაიკლი ფიზიკურად მზადაა, მაგრამ აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი ფსიქოლოგიური მდგრადობა. იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოს, მან საკუთარ თავს დაძაბვის საშუალება არ უნდა მისცეს, პირიქით, საჭიროა, ცურვისგან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს და სრულიად განტვირთული გავიდეს ყველა სტარტზე.“

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ საქართველომ საქართველო გააცილა



„ღირსეულად დაბრუნდით სამშობლოში!“ — ძველ დროში ამ სიტყვებით აცილებდნენ სალაშქროდ მიმავალ ქართველ ვაჟკაცებს და ასეა ჩვენს დროშიც. საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მიემგზავრება მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან საომრად და გუშინდელი დღე ამ ყოჩაღი და ქვეყნის სახელის შორს გამტანი ბიჭების გაცილების დღე იყო.

მსოფლიოს თასამდე ორ თვეზე მეტი რჩება, მაგრამ „ლელოები“ აქედანვე იჭერენ თადარიგს და მიემგზავრებიან საფრანგეთში, სადაც წვრთნა-სპარინგი ექნებათ, ოქტომბერში კი ჩაებმებიან იმ დიდ ხორუმში, რომელშიც მხოლოდ ნამდვილი კაცები ტრიალებენ. ეს უკვე ზედიზედ მეორედ ითამაშებენ ქართველი „ლელოები“ მსოფლიოს თასზე.





სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა და აკურთხა საფრანგეთში მიმავალი „ბორჯღალის გუნდი“. შემდეგ ჩვენი ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს მიადგა, სადაც ჩვენი ბიჭების გაცილების საღამო მოეწყო. ითამაშეს ვეტერანმა მორაგბეებმა — ქუთაისელი და თბილისელი ჭარმაგი კაცები ნახევარი საათით შეერკინნენ ერთმანეთს. იყო ძველი ქართული ხრიდოლი, ხმალ-ხანჯლების ტრიალი და ხალხური ანსამბლების გამოსვლა. იმღერა ნიაზ დიასამიძემ, ბოლოს კი ფოიერვერკით დასრულდა ეს ყოველივე.

ერთ რამეზე დაგწყდებოდა გული: ხალხი იყო ცოტა. არადა, „ლელოები“ ნამდვილად იმსახურებენ დაფასებას და ქომაგის გვერდში დგომას.

**ბადრი ქეთილაძის ფოტორეპორტაჟი**








სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ეაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge